# დროშა

№ 8 აგვისტო 1961

**ნომერშია:**

აკად. ვ. ასათიანი
მთვარეზე გაფრენის წინ

მეგობრობა

ლ. ავალიანი—ის ყვავილი

ბობოქარი ზვირთები

ეკრანზე



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიხეილ შოლოხოვი საქართველოში



ეროვნული ბიბლიოთეკა




# მთვარეზე გაფრენის წინ

ვლ. ასათიანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

125 წლის წინათ გაზეთ „ნიუ-იორკის მზემ" გამოაქვეყნა სენსაციური ცნობა, რომ ასტრონომმა გერშელმა მთვარეზე აღმოაჩინა სიცოცხლის არაჩვეულებრივი ფორმები. მკითხველებმა ეს აღმოჩენა ისე გაიგეს, თითქოს მთვარეზე ცხოვრობენ სფერული ფორმის რაღაც არსებანი, რომლებიც კი არ დადიან, არამედ გორაობენ; ისინი ვეებერთელა ღამურები არიან, რომლებსაც ადამიანის სხეული და მაიმუნის სახე აქვთ. საკმაოდ დიდი დრო და შრომა დასჭირდა გერშელს, — მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერს, — რომ ეს უაზრობანი გაექარწყლებინა.

თანამედროვე მეცნიერებამ მტკიცედ დაადგინა, რომ მაღალი განვითარების არსებათა (ადამიანი, ცხოველები, მცენარეები) სიცოცხლისუნარიანობისათვის მთვარეზე და სხვა კოსმოსურ სხეულებზე აუცილებელია მთელი რიგი პირობების არსებობა. სიცოცხლისათვის საჭიროა წყალი, ჟანგბადი, დიდ როლს ასრულებს აგრეთვე სათანადო ტემპერატურა. მთვარეზე კი ტემპერატურა შეიძლება მერყეობდეს პლუს 100° და მინუს 100° შორის. როცა ეს ვიცით, სერიოზულად აღარ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მთვარეზე მაღალი განვითარების არსებათა ყოფნის შესახებ.

მაგრამ არიან ორგანიზმები, რომლებიც სხვა ცოცხალი ორგანიზმებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან განსაკუთრებული თვისებებით. ესენია უმარტივესი ცოცხალი არსებანი — მიკროორგანიზმები, ბაქტერიები, რომელთა სამყარო ძალზე მრავალფეროვანია.

ბაქტერიები შესანიშნავად ეგუებიან ისეთ პირობებს, რომლებიც სხვა ცოცხალი არსებებისათვის აუტანელია. სიცოცხლის ცუდი პირობების მიმართ განსაკუთრებით მდგრადია ბაქტერიების მიერ შექმნილი ე. წ. სპორები. ასეთი სპორები სიცოცხლისუნარიანობას ათობით წლების განმავლობაში ინარჩუნებენ საკვების, წყლისა და ჟანგბადის უქონლად.

მიკროორგანიზმების სპორების ეს თვისებანი მეცნიერებისათვის კარგად იყო ცნობილი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. ცნობილმა შვედმა მეცნიერმა ს. არენიუსმა სწორედ ამ თვისებათა მეშვეობით სცადა აეხსნა სიცოცხლის აღმოცენება დედამიწაზე. მას მიაჩნდა, რომ ცოცხალი არსებებით დასახლებულ პლანეტებს სწყდება და სამყაროს სივრცეში მიდის უმცირესი მტვრიანები და

(გაგრძელება იხ. მე-6 გვ.)



# გურჯაანის მინდვრებზე

ფოტო გ. ხამაშურიძისა



ცხარე დღეები დაუდგათ გურჯაანელებს. ყოველ დილით, როგორც კი მტრედისფერი რიჟრაჟი აენთება ცაზე, ჟივილ-ხივილით აიშლებიან კოლმეურნეები და გვიანობამდე მუხლჩაუდრეკად დატრიალებენ დაპურებულ ყანებში.

ქანდრელები რაიონში ერთ-ერთი პირველნი შეუდგნენ მარცვლეულის აღებას. თვალუწვდენელი მინდვრებიდან უწყვეტ ნაკადად მოდის და მოდის მათი გამრჯე მარჯვენით მოწეული ხორბალი.

— სოფლის თვალი და სიამაყე! — ასე ეძახის ყველა ახალგაზრდა კოლმეურნეს ლამარა ომსარიშვილს, რომელმაც სამაგალითო შრომით მთელს რაიონში გაითქვა სახელი.

გულში სიხარული ჩადგომია ლამარას, სახეზე კი კმაყოფილების ღიმილი დათამაშებს, რომ თავდადებული შრომა დაუფასდა და წელსაც უხვი მოსავალი მიიღო (სურ. 1).

— ასწილ მოხვავდეს მიწის ბარაქა, კიდევ უფრო იმატოს შვიდწლედის მესამე წლის ხვავმა და დოვლათმა! — ღიმილით ამბობენ კალოსპირზე შრომაში გართული ქანდრელი კოლმეურნეები (სურ.2).

მზე შემოიმაღლებს. დასვენების ჟამი დგება და ნელ-ნელა წყდება მობიბინე ყანებში შეცურებული კომბაინების გაბმული გუგუნი.

მზით გარუჯული ბიჭები მოღლილ მკლავებს ალაზნის საამო ზვირთებში შლიან, რომ შემდეგ ახალი ძალით და ენერგიით შეეჭიდონ საქმეს (სურ.3).

ვაზი და ხორბალი ძველთაგანვე გურჯაანელთა შეძლებული ცხოვრების წყარო იყო, ახლა კი „მინდვრის დედოფალსაც" მტკიცედ დაუმეგობრდნენ.

230 ჰექტარზე საამოდ შრიალებს ქანდრის კოლმეურნეობის ტანაშოლტილი სიმინდის ყანები. ცოტა კიდევ და უძირო ბეღლები პირთამდე აივსება სიმინდის წურთიანი ტაროებით, პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვებიც უხვად ექნებათ კოლმეურნეებს.

შემოქმედებით შრომაში იწურება ყოველი დღე. გურჯაანელები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რათა დროულად და უდანაკარგოდ აიღონ ჭირნახული. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა, საპატიო წვლილი შეიტანონ მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის გაშლილ სახალხო ლაშქრობაში.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 8 (121) აგვისტო, 1961 წ.

გამოცემის XI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი





ელექტრონული ბიბლიოთეკა

8468



**მიხეილ ჯიბლაძე**



ესე იგი მხოლოდ სამი დღით ჩამოხვედით ქუთაისში, არა?

დიმიტრიმ ღიმილით ჩამოგვართვა ხელი და შეგვეკითხა:

— ესე იგი მხოლოდ სამი დღით ჩამოხვედით ქუთაისში, არა?

— დიახ, სამი დღით.

გულიანად გადავიხარხარე. ნაცვლიშვილმა მარჯვენა წარბი ასწია და გაკვირვებული თვალებით შემომხედა. უხერხულად ვიგრძენი თავი. ამ კაცს შეშლილი არ ვეგონო-მეთქი,—შიშით გავიფიქრე, და ავტოქარხნის № 2 სამსხმელო საამქროს პარტბიუროს მდივანს ავუხსენი უადგილო სიცილის მიზეზი.

—როგორ, როგორ? თქვენმა მეგობარმა ხუთი წუთის განმავლობაში თექვსმეტჯერ გაიმეორა ე...ს..ე ი...გ...ი! გადავეჩვევი, ნამდვილად გადავაგდებ ამ ჩვეულებას, — ახლა დიმიტრი იცინოდა.

ეჭვის თვალით შევხედე ჩემს ახალ ნაცნობს. „ჩვეულებას, ჩემო კარგო, ვფიქრობდი მე, აგრე ადვილად ვერ გადააგდებ. ბავშვობაში გამიგონია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება, ერთიც ვნახოთ და“...

— ესე იგი თქვენ გაინტერესებთ... — დიმიტრი შეჩერდა, გაიღიმა, — არა, ჩვეულებას ალბათ არც ისე ადვილად შეელევა კაცი, — თქვა მან, რატომღაც ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო, — თქვენ გინდათ, რომ მოგიყვეთ, თუ როგორ...

— დიმიტრი, ჩვენი ბრიგადა ღელავს!



მოულოდნელად ოთახში შემოვიდა, უფრო სწორად, შემოვარდა საშუალო ტანის, გამხდარი, შავგვრემანი ქალიშვილი.

— დიმიტრი, ჩვენი ბრიგადა ღელავს! უჩა ჭულუხაძეს რაღაც კარგი არ უნდა სჭირდეს. მუშაობაზე გული აიცრუა. როცა გვინდა გავიგოთ, რა დაემართა, დაღვრემილი სახით შემოგვხედავს, ხელს ჩაიქნევს, ნუ გამიწყალეთ გულიო. სასწავლებელში ლექციებს აცდენს, რეპეტიციებზე აღარ დადის. თუ ასე გაგრძელდა, კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებას კი არა, სირცხვილის მეტს ვერაფერს დავიმსახურებთ.

დიმიტრიმ შავგვრემან ქალიშვილს თვალებით რამდენჯერმე ჩემკენ მიუთითა, მაგრამ ამაოდ. ქალიშვილმა სეტყვასავით მოგვაყარა სიტყვები და მხოლოდ ამის შემდეგ გამომიწოდა პატარა ხელი.

—ნათელა ონიანი, — წყნარად თქვა მან, ლოყები გაუწითლდა და თავი ჩაღუნა.

— აა! — მრავალმნიშვნელოვნად ამოიოხრა დიმიტრიმ, ფანქარი ხელში აათამაშა, ნათელას შეეკითხა:

— მერედა, რას აპირებთ?

— ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, მხოლოდ პარტიული კრებაა საჭირო. ისე უჩას არაფერი ეშველება.

დიმიტრიმ ფანქარი მაგიდაზე დააგდო, წამოდგა.

— უჩა ხომ არ წასულა ჯერ?

— არა, სამუშაო ადგილს ამზადებს.

— წადით საამქროში, ჩვენც მალე მოვალთ იქ, — დიმიტრიმ შემომხედა, თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— ამხანაგო დიმიტრი! — ნათელამ კარი ისევ მოიხურა, — სჯობს პარტიულ კრებაზე შევეკითხოთ უჩას, რატომ არცხვენს ამხანაგებს, რატომ...

— რატომ და რატომ, — შეაწყვეტინა დიმიტრიმ, — კრებამდე საჭიროა გამოვესაუბროთ უჩას. იქნებ დახმარება სჭირდება კაცს? ვინ იცის, რა შეემთხვა, რა აწუხებს ? უჩა კარგი მუშაა, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, — ახლა ჩემკენ შემოტრიალდა დიმიტრი,— ადამიანს სულ უბრალო რამ შეიძლება შეემთხვეს ცხოვრებაში და დაიბნეს, გზა-კვალი აერიოს, ცუდ საქმეს მოჰკიდოს ხელი. წავიდეთ საამქროში.

შენობიდან გამოვედით, ნიავმა შუბლი გაგვიგრილა. სიცხისაგან სულდახუთულებს სიამოვნებას გვგვრიდა ჟუჟუნა წვიმის წვეთები. ამწვანებულ ხეივანს გავყევით. ნათელა წინ მიგვიძღოდა. დავაკვირდი ამ პატარა ქალიშვილის სიარულის მანერას. ნათელა როდი დადის, ნათელა ფრინავს, ფრინავს განა იმიტომ, რომ ტანით პატარაა, არა, ნათელას ცხოვრებაში ნათელი, შინაარსითა და სიცოცხლით აღსავსე გზა აურჩევია. იგი თავისუფლად სუნთქავს, ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, ადამიანს ფრთებს ასხამს.

საამქროში ჩანჩქერივით ჩქეფს სიცოცხლე. ხმაურია.

— აგერ უჩაც, — მიმითითა დიმიტრიმ.

მაღალი, კოხტა ტანის, ბლოკების ჩამომყალიბებელი დინჯად მოგვესალმა და თავისი საქმიანობა განაგრძო.

—უჩა, დღეს ჩემს მეგობართან ერთად,—დიმიტრიმ მხარზე ხელი დამადო, — გვინდა შინ გესტუმროთ. რას იტყვი, მასპინძელო?

— მობრძანდით, — უჩას სახე აელეწა,— მხოლოდ თუ შეიძლება ფეხბურთის შემდეგ.



— აგერ უჩაც, — მიმითითა დიმიტრიმ.

— ცხადია, რომ ფეხბურთის შემდეგ, როგორ ფიქრობ, განა შეგვიძლია ჩვენი „ტორპედოს“ და ტაშკენტის „სტარტის“ თამაშს არ დავესწროთ?

უჩას დავაკვირდი. „გოგონასავით მორცხვია“, გავიფიქრე.

— თქვენ ხომ იცით, ქუთაისელები ლიდერები არიან საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების „ბ“ ჯგუფში, — დიმიტრი არ მალავდა სიამაყის გრძნობას. სწორედ ასეთ ხალხზე ამბობენ ყველაფერი სახეზე აქვს დაწერილიო. უჩას დავემშვიდობეთ. დიმიტრისთან შევთანხმდით, სტადიონზე შევხვედროდით ერთმანეთს.



— მხოლოდ თუ შეიძლება, ფეხბურთის შემდეგ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო გ. თიკანაძისა



— შეიძლება თითებიც კი აქვს პირში ჩაწყობილი.

სასტუმროს ნომერში ფარდა ჩამოვწიე და ლოგინზე გავიშოტე. უცებ, თითქოს რაღაცამ მიკბინაო, ფეხზე წამოვხტი. მხოლოდ ახლა მომაგონდა, რომ დიმიტრი ნაცვლიშვილთან ჯერ კიდევ ვერ მოვახერხე პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე საუბარი. „არა უშავს, სტადიონზე გამოვესაუბრები პარტბიუროს მდივანს საინტერესო საკითხებზე", დავიმშვიდე თავი, როდესაც ჩვენი ტაქსი სტადიონისკენ მიმავალ მანქანების გრძელ რიგში ჩადგა. მაინც რა მიამიტობაა, იმედი იქონიო, რომ სტადიონზე შესძლებ ფეხბურთის გარდა სხვა საკითხებზეც მოახერხო მოლაპარაკება. არ მეგონა, თამაშის დაწყების პირველი წუთებიდანვე ქუთაისელებთან, მახარაძელებთან, ზესტაფონელებთან, წყალტუბოელებთან ერთად ღრიალს და ყვირილს თუ დავიწყებდი. ალბათ, ამ ზღვა ხალხთან ერთად უჩაც ამხნევებს მოთამაშეებს. შეიძლება თითებიც კი აქვს პირში ჩაწყობილი, უსტვენს და არაფერი შერჩა „მორცხვობისაგან". ერთით ნოლი „ტორპედოს" სასარგებლოდ. აღტაცებულმა დიმიტრიმ სიხარულით მოციმციმე თვალებით შემომხედა.

— ესე იგი, — თქვა მან, — ორი ქულა კიდევ მოგვემატა.

ჩვენ ვიდექით, ვიცინოდით, ტაშს ვუკრავდით, ველოდებოდით ხალხის გასვლას. პირდაპირ ტრიბუნებზე სკამები არ ჩანდა.

— სტადიონის მშენებლობა ჯერ არ დამთავრებულა? — შევეკითხე დიმიტრის.

— არა, მაგრამ იმედია მაინც დავამთავრებთ. აბა ხალხი დიდხანს ხომ არ იჯდება მიწაზე და ქვებზე.

უჩა ჭულუხაძე, თითქოს ვერტმფრინავით გადმოფრინდაო, შინ დაგვიხვდა.

ჩვენ სულის მოთქმაც კი ვერ მოვასწარით, რომ ბაბუტამ, უჩას მეუღლემ, სუფრა გააწყო. ორი წლის ბიჭი მამას მანამდე არ მოეშვა, სანამ მუხლებზე არ წამოუსკუპდა. წყნარად, გულითადად ვსაუბრობდით. უჩას ოჯახში თითქოს კედლებიც იცინიან, ასევე ვთქვი, როცა დიასახლისს ვადღეგრძელებდი.

უჩამ წარბები შეკრა:

— კაი ხანია, რაც ჩვენ აღარ გვიცინია, — ჩაილაპარაკა მან.

დიმიტრიმ მასპინძელს შეწუხებული, მეგობრული გრძნობით აღსავსე თვალები მიაპყრო. უჩამ ცოლს გადახედა, ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა, დიმიტრის მიმართა, თითქოს ჩურჩულებსო:

— რაღა დავმალო, ამხანაგო დიმიტრი, ცოლთან დიდი ჩხუბი მაქვს...

— გეტყობა, — თქვა დიმიტრიმ, — უსიამოვნება რომ არ გქონდეთ, რატომ შეეპარებოდა თეთრი ამ ოცდაათი წლის წარმოსადეგ ქალს?

— კაცო, ყოველთვის ცოლები კი არ არიან მართალი, — უჩა ცდილობდა მღელვარება დაეფარა, — აბა შენ თვითონ განსაჯე, მოვდივართ ერთ მშვენიერ დღეს ვანიდან. მამაჩემთან ვიყავით სტუმრად. გზაში ბაბუტა ამიტყდა, რას ჰგავს ჩვენი ცხოვრება, ჩვენს მეზობელსაც ათი კლასი აქვს დამთავრებული, მაგრამ შეხედე როგორ ცხოვრობს: „ვოლგაც" იყიდა, სახლიც აიშენა, ოთახები ახალი ავეჯით აქვს გაჭედილი, ჩიტის რძეც არ აკლია... მოკლედ რომ ვთქვათ, იცის ამ კაცმა ცხოვრება... გინდა თუ არა, მიანებე ქარხანაში მუშაობას თავი და ვაჭრობის დარგში დაიწყე მუშაობაო. აღარ მოწონს ბაბუტას, რომ ქმარი მუშა ჰყავს.

— გეყოფა, უჩა, რას მარცხვენ ამ უცხო ხალხის წინაშე! დღეს დილით ის ჩვენი მეზობელი დაიჭირეს, მაგრამ ისედაც დიდი ხანია მივხვდი, რომ არ ვარ მართალი, წმინდა შრომით შეძენილ პურს ჯობია რამე? — სახე ანთებული ბაბუტა დიმიტრისაკენ შემოტრიალდა, — როგორ გგონიათ, განა არ მესმის, რომ ქარხანა, მეგობრები უჩასა და ჩემი ბედნიერების ფუძეა? კარგად მესმის, ძალიან კარგად. ახლა მიკვირს კიდევაც, როგორ წამოვეგე ანკესს და ავუტყდი ქმარს, ქარხანას თავი დაანებე-მეთქი. ყველა მექრთამისა და ქურდის ბოლო, რაგინდ დიდი „ოსტატიც" იყოს, ციხეა... კაი ახლა, გავათავოთ ამაზე ლაპარაკი.

ბაბუტა უცებ გაჩერდა, კიდევ უფრო გაწითლდა, უჩას შეხედა. ძალიან მინდოდა, მკითხველო, ერთი წამით მაინც რომ დაგენახათ, როგორ გაუბრწყინდა, აუთამაშდა უჩას თვალები.

ქუჩაში გამოვედით, დიმიტრიმ მითხრა:

— თქვენ ხომ სასტუმროში იყავით, მე უჩას ცოლი ვინახულე; მაგრამ არ გეგონოთ, თითქოს ბაბუტამ ჩემი გავლენით შეიცვალა აზრი. თვითონ მიხვდა შეცდომას.

სასტუმროსთან დიმიტრის დავემშვიდობე. „რა კარგია, რომ ორმა შესანიშნავმა ადამიანმა ისევ იპოვა საერთო ენა. ქურდებს, არაფრის მაქნისებს, უნამუსო ადამიანებს რამდენიმე ხნით შეუძლიათ ერთად მოქმედება, მაგრამ უჩას და ბაბუტას ურთიერთგაგება სულ სხვაა, კრისტალივით წმინდა და მიმზიდველი".

კოკისპირული წვიმის შემდეგ საამო სურნელი იფრქვეოდა ირგვლივ. მძიმე-მძიმედ მივაბიჯებდი ლარივით გაჭიმულ ავტოქარხნის ქუჩაზე და თან ზაქარია ფალიაშვილის ერთ-ერთ მელოდიას ვღიღინებდი.

ფალიაშვილი!

მართლა, გუშინ მეგობრებმა აღტაცებით მითხრეს, რომ სულ მოკლე ხანში დიდი კომპოზიტორის მშობლიურ ქალაქში ზაქარიას სახლ-მუზეუმი გაიხსნება.

მივდიოდი და მიხაროდა, რომ ლაღად გაშალა მხრები ინდუსტრიულმა ქალაქმა, რომ შრომისმოყვარე ქუთაისელები წარმატებას წარმატებაზე აღწევენ...

იმ საღამოს გვიანობამდე ვერ დავიძინე. ყურებში ფალიაშვილის უკვდავი მელოდიები ჩამესმოდა.

...კლუბში მუსიკა უკრავდა. კინოდარბაზში მაყურებლები, სიყვარულით და მეგობრობით გამსჭვალულნი, „კეთილ ადამიანების" ბედიღბალს ჯანიცდიდნენ. კლუბის მეორე სართულის ერთ-ერთ ოთახში რეპეტიცია მიმდინარეობდა. ორი ახალგაზრდა თავდავიწყებით ცეკვავდა, თითქოს მწვანე მთების მწვერვალებზე ფრინავენო. ასე მხოლოდ ისინი ცეკვავენ, ვისაც გულწრფელად უყვარს ხელოვნება, ვისაც გული ლამაზი, ხალასი გრძნობებით აქვს სავსე.

6 საათზე დაიწყო პარტიული კრება.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII და საქართველოს XXI ყრილობებს ჩვენი საამქრო ახალი მიღწევებით შეხვდება. ამაში ეჭვი არ გვეპარება. ჩვენც მოვიპოვებთ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდებას, თუ აღიკვეთება ნედლეულის შეფერხებით მოწოდება, — გაისმოდა დარბაზში ნათელა კვინიკაძის წკრიალა ხმა.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა შოთა კობახიძემ კრების მონაწილეთა ყურადღება იოსებ ხაზარაძის ინიციატივას მიაპყრო.



— კაი ხანია, რაც ჩვენ აღარ გვიცინია.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ორი ახალგაზრდა თავდავიწყებით ცეკვავდა.



— ამაში ეჭვი არ გვეპარება.



— მივბაძოთ იოსებ ხაზარაძეს.



— თქვენ, ჩემო მეგობრებო, ხართ სიცოცხლისა და სიყვარულის უკვდავი წყარო.

— შევქმნათ რაციონალიზატორთა კომპლექტური ბრიგადები, — თქვა კობახიძემ, — მუდამ მტკიცედ მივყვეთ ტექნიკურ პროგრესის გზას და მაშინ ყოველი ბრიგადა სახელმწიფოს შვიდწლედში მისცემს ასი ათასი მანეთის ეკონომიას... 6-7 წლის წინათ ამ პატარა დარბაზში ჩვენ ვლაპარაკობდით იმაზე, თუ როგორ დაგვეწყო მუშაობა სამსხმელო საამქროში. მე ხომ თქვენი კოლექტივის წევრი ვარ, თქვენთან ერთად აღზრდილი. 1959 წელს თქვენი საამქრო ყველაზე ცუდად მუშაობდა. დღეს კი სამსხმელო საამქროს კოლექტივი მოწინავეა.

უჩა ჭულუხაძეს რამდენჯერმე სთხოვეს უფრო ხმამაღლა ელაპარაკა.

— მართალი რომ გითხრათ, — აუწია ხმას უჩამ, — მინდოდა კრებაზე მელაპარაკნა სავენტილაციო სისტემის ცუდი მუშაობის გამო, მაგრამ დღეს რატომღაც საამქროში ვერ ვგრძნობდი ამ ნაკლს, — ჭულუხაძემ წყალი მოსვა და მოულოდნელად დაამთავრა თავისი სიტყვა:

— კოლექტივი, — წამოიძახა მან, — ჩემი ქარხანა, თქვენ, ჩემო მეგობრებო, ხართ სიცოცხლის და სიყვარულის უკვდავი წყარო.

კრება დამთავრდა, საამქროს მუშამ შავლაძემ ნათელა ონიანს მიმართა:

— თუ შეატყვე, რა რომანტიკულ გუნებაზე იყო დღეს ჩვენი უჩა?

ნათელამ გაიღიმა, ლირიკა ამშვენებს ცხოვრებასო, წყნარად და ღიმილით ჩაილაპარაკა.

ვაგონიდან ქუთაისელ ახალ მეგობრებს დიდხანს ვუქნევდი ხელს. სამ დღეს ვიყავი ქუთაისში, სამ დღეს, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე დიმიტრი ნაცვლიშვილთან პარტიული ცხოვრების შესახებ საუბარი.

— უჩას და ბაბუტას ურთიერთგაგება სულ სხვაა, კრისტალივით წმინდა და მიმზიდველი.



# მეორე რიწა

— ნამდვილი სამოთხეა, მეორე რიწაა! — ამბობენ კახისის ტბის სილამაზით მოჯადოებული ტურისტები, როდესაც ბაკურიანისაკენ მიმავალნი, ღამის გასათევად კარვებს ტბის პირას შლიან.

მართლაცდა, მშვენიერი სანახავია



კახისის ტბა, ლურჯად რომ ლივლივებს ტექტონიკური წარმოშობის ტაფობში, რომელიც შემოზღუდულია ნაძვის ტყით დაბურული მთათა კალთებით. აქვეა ცივი წყაროები, ბროლივით ანკარა მორაკრაკე ნაკადულები.

იგი მდებარეობს დაბა ბორჯომის სამხრეთ დასავლეთით ოცდაათ კილომეტრზე (სოფელ ჭობისხევის ტერიტორიაზე), ზღვის დონიდან დაახლოებით 1500 მეტრ სიმაღლეზე. მისი ფართობი 70-90 ათასი კვადრატული მეტრია.

კახისის ტბა კიდევ უფრო მშვენიერსა და მიმზიდველს ხდის ბორჯომის ხეობის ისედაც ზღაპრული სილამაზის ბუნებას. ვინ არ მოხიბლულა ზაფხულში მისი კალთებაზურმუხტებული და ზამთარში თეთრნაბადაცამდე აყუდებული მთებით — ანდამატივით რომ იზიდავენ ადამიანს. ვინ არ ალტაცებულა მისი სწრაფად მსრბოლი ნაკადულებითა და რძისფერი ჩანჩქერების ზარიანი შხუილით, — სიამოვნების გრძნობით რომ მსჭვალავენ მნახველთ.

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

ამ უკანასკნელ დროს საექსპლოატაციოდ გადაეცა ხუთი ახალი წყარო, რაც ხელს შეუწყობს ბორჯომის ხეობაში სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების რიცხვის ზრდას.

ჩვენი აზრით, საქართველოს კურორტთა და ტურისტულ-საექსკურსიო [illegible] დროა კახისის ტბის მიდამოებში [illegible] სანატორიუმი და ტურისტული ბაზა.

გ. ანანიაშვილი

გეოლოგ-ინჟინერი




ვასილ ჩაჩანიძე

(დღიურიდან)

ჩეხოსლოვაკიაში ჩასვლისთანავე დავრწმუნდი, რომ ამ წარმტაც ქვეყანაში საქართველოს ბევრი გულითადი მეგობარი ჰყავს.

განსაკუთრებით სასიხარულო ის იყო, რომ მაისში დაემთხვა ჩეხი და ქართველი ხალხების ეროვნული დღესასწაულები. 9 მაისს ჩეხოსლოვაკიელმა მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი და გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან განთავისუფლების 16 წელი.

კურორტმა კარლოვი ვარმა დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახ-



დინა ჩემზე. წარმტაცი ბუნება, ძვირფასი მინერალური და თერმიული წყლები (ტემპერატურა 42°-72°) საუკეთესო პირობებს ქმნიან მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ადამიანების დასვენებისა და მკურნალობისათვის.

საქვეყნოდ ცნობილი კურორტი კარლოვი ვარი მდინარე ტიოპლას (თბილი) ვიწრო ხეობაშია გაშენებული. როგორც ჩეხოსლოვაკიელმა მეგობრებმა მითხრეს, ამ ადგილებში დღემდე 100-მდე მინერალური წყაროა აღმოჩენილი, აქედან შესწავლილი ყოფილა მხოლოდ 48, სასმელად და სამკურნალოდ კი ჯერჯერობით მხოლოდ 12 წყაროს იყენებენ.

კარლოვი ვარის შექმნის ლეგენდა ძალიან წააგავს თბილისის დაარსების ლამაზ ლეგენდას, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მონადირეები ხოხბის ნაცვლად აქ თურმე ირემს გამოედევნენ, რომელმაც ფეხი მოულოდნელად ცხელი წყლით სავსე ორმოში ჩაჰკრა. ამ მიდამოებს ახლა „ირმის ნახტომს" უწოდებენ, ქალაქის ემბლემა კი ირმის გამოსახულებაა.

კარლოვი ვარში უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება.

ამ საზოგადოების წევრებმა ლიპეცკელი ინჟინერი ვ. ვლასოვი და მე კომუნისტური შრომის ბრიგადების საპირველმაისო საანგარიშო სხდომაზე მიგვიწვიეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი ქალაქ პილზენის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ერთ-ერთმა ბრიგადამ გვთხოვა გავცნობოდით მათ მუშაობას

ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ ეს მიწვევა. 8 მაისს, ჩეხ ელმავალმშენებელთა საქმიანობის გაცნობის შემდეგ, პილზენში დავესწარით მშრომელთა საზეიმო დემონსტრაციას, დავათვალიერეთ ქალაქის მიდამოები, მშრომელთა საცხოვრებელი უბნები, შემდეგ კი მსოფლიოში სახელგანთქმული (პილზენის) ლუდის ქარხანას ვეწვიეთ.

პილზენის ლუდი მზადდება 1.200 მეტრი სიღრმიდან ამონადენი მინერალური წყლის ბაზაზე. მინერალური წყალი ლუდს საუკეთესო სპეციფიკურ გემოს, ფერსა და არომატს აძლევს. კარგი იქნებოდა, რომ ამ საქმეში ჩვენც მიგვებაძა ჩეხი მეგობრებისათვის. მინერალური წყლით ლუდის დამზადებისათვის საქართველოში ხომ საუკეთესო პირობებია.

12 მაისს სასტუმრო „იმპერიალში" რადიოთი შეუნელებელი ყურადღებით მოვისმინეთ ქართველი ხალხის ეროვნულ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩასული ძვირფასი სტუმრის ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის შინაარსიანი სიტყვა.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირიის მეგობრობის საზოგადოებამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ კარლოვი ვარში მყოფი ქართველებისათვის მიელოცა დიდი ზეიმი.

13 მაისს სასტუმროში გვეწვია ჩეხი ამხანაგების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ქალაქის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხანაგი, კორონეუი, ქალაქის მერი ი. კასაურეკი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი ა. კრაიზინგერი, ამ საზოგადოების მდივანი შვაბოვა და ადგილობრივი გაზეთის „პრუდეს" რედაქტორი ლინგარტოვა.

კარლოვი ვარში მყოფ ქართველებთან ერთად ჩეხოსლოვაკიელ ამხანაგებს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი ა. სალინსკი, მწერალი ლ. შეინინი, პროფესორი ნ. სემერენკო, ლიპეცკის სახალხო მეურნეობის საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი ვ. ვლასოვი, სანატორიუმის დირექტორი და მთავარი ექიმი.

ჩვენმა შეკრებამ მეტად გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

პოეტმა ალიო მირცხულავამ და მე ჩეხ და საბჭოთა ამხანაგებს უღრმესი მადლობა გადავუხადეთ ქართველი ხალხისადმი ესოდენ კეთილი სურვილების გამოთქმისათვის.

ქალაქის მერს საჩუქრად გადავეცი „ვეფხისტყაოსნის" ქართული გამოცემა, ალიო მირცხულავამ ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკას მიუძღვნა რუსულ ენაზე გამოცემული თავისი ლექსებისა და პოემების ერთტომეული. ქალაქის მერმა სიხარულით მიიღო წიგნები.

16 მაისს საუზმეზე მიგვიწვიეს კარლოვი ვარის საქალაქო რეზიდენციაში. საუზმის შემდეგ მერმა ალიო მირცხულავას და მე თავაზიანად გვთხოვა, თანხმობა განგვეცხადებინა, რათა ჩვენი სახელები საპატიო სტუმართა წიგნში შეეტანათ.

ალიო მირცხულავამ რუსულ და ქართულ ენებზე წიგნში გააკეთა ჩანაწერი, რომელშიც შემდგომი აყვავება და მტკიცე მეგობრობის გაღრმავება უსურვა ჩეხ და ქართველ ხალხებს.

ჩეხოსლოვაკიაში ყოფნის დროს ნათლად დავრწმუნდი, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა იქ რუსული ენის შესწავლას. ამ ქვეყანაში ფართოდ არის გაშლილი რუსული ენის სწავლების ქსელი. რუსულ ენას ასწავლიან დაწყებით და საშუალო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საწარმოებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებში.

16 მაისს კარლოვი ვარის „რუსულმა კლუბმა" შეხვედრა მოგვიწყო. შეხვედრაზე მიგვიწვიეს ალიო მირცხულავა, მწერლები ლ. შეინინი, ა. სალინსკი, ინჟინერი ვ. ვლასოვი და მე.

კლუბის წევრებს მწერლები ესაუბრნენ თავიანთ მუშაობასა და სამწერლო მოღვაწეობაზე, გააცნეს საბჭოთა კავშირში კულტურისა და ხელოვნების წარმატებები.

პოეტმა ალიო მირცხულავამ ილაპარაკა ქართული კულტურის უმაგალითო აყვავებაზე.

კლუბის წევრები ჩვენი საუბრით მეტად კმაყოფილი დარჩნენ, მათ დაგვასაჩუქრეს კარლოვი ვარის სუვენირებით და საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის რუსული კლუბის საპატიო დიპლომები გადმოგვცეს.

ჩემს მეხსიერებაში წარუშლელ მოგონებად დარჩება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე დამდგარი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სასახელო მიღწევები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, მათი გულწრფელი და მეგობრული შეხვედრები.



# მთვარეზე გაფრენის წინ

(დასაწყისი იხ. გარეკანის მე-2 გვ.)

მათთან დაკავშირებული მიკროორგანიზმების ცოცხალი სფორები. ეს სფორები სამყაროს სივრცეში კოლოსალური სიჩქარით დაჰქრიან, ერთი ციური სხეულიდან მეორეზე ფრინავენ იმ წნევის წყალობით, რომელსაც მათზე მზის ან სხვა ვარსკვლავების სინათლე ახდენს. ხვდებიან რა ისეთ პლანეტებზე, სადაც უკვე შექმნილია სიცოცხლისათვის ხელსაყრელი პირობები, სფორები ციური სხეულის ცოცხალი მოსახლეობის მამამთავრებად იქცევიან.

არენიუსის „პანსპერმიის" (სფორების ჩანასახთა გავრცელების) თეორიამ გამოიწვია დიდი დავა და ეს დავა დღესაც გრძელდება.

მეცნიერთა უმრავლესობას, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, მიაჩნია, რომ კოსმოსური სივრცე სტერილურია, ე. ი. მას არა აქვს სიცოცხლის რაიმე ნიშნები.

მაგრამ საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების, კოსმოსური რაკეტების გაშვება და იური გაგარინის გმირული გაფრენა ახალ ეტაპს მოასწავებს არა მარტო ტექნიკის მეცნიერებათა განვითარებაში, არამედ მეცნიერების ყველა დარგის, მათ შორის ცოცხალი სამყაროს შემსწავლელი მეცნიერების წინსვლაშიც. საბჭოთა მეცნიერების ამ დიადმა გამარჯვებამ გაგვამდიდრა ახალი ცნობებით, რომლებიც გვაიძულებენ გადავსინჯოთ ბევრი რამ, რაც აქამდე უცილობლად მიგვაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ძველი დავა პანსპერმიის შესახებ ამჟამად შეგვიძლია თეორიულ მსჯელობათა და ფანტასტიკურ მოსაზრებათა სფეროდან გადავიტანოთ პირდაპირ დაკვირვებათა და ცდათა სფეროში. ეს კი ნამდვილი საწინდარია იმისა, რომ ჩვენ მივუახლოვდით ამ დავის გადაწყვეტას.

უკვე აღვნიშნეთ, რომ მთვარეზე არ არის პირობები უმაღლესი ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის, მაგრამ დასაშვებია თუ არა მთვარეზე სიცოცხლის უმარტივესი ფორმების, პრიმიტიული ცოცხალი ორგანიზმების არსებობა? ამ საკითხში საბჭოთა მეცნიერებამ ახალი სიტყვა თქვა. მთვარეზე აღმოჩენილია ვულკანური მოქმედება, ეს კი იმას მოწმობს, რომ მთვარე ჯერ კიდევ სავსებით არ არის გაცივებული. შესაძლებელია, მისი ზედაპირის ქვეშ შენარჩუნებული იყოს შედარებით თანაბარი ტემპერატურა.

ჩვენმა მეცნიერებმა წამოაყენეს ახალი თეორია მთვარის ზედაპირის აღნაგობის შესახებ. არის საფუძვლები ვიფიქროთ, რომ ეს ზედაპირი თითქოს ფორებით არის გამსჭვალული. მთვარის ზედა საბურველი უნდა შედგებოდეს ისეთი ნივთიერებისაგან, რომლის აღნაგობა მეტად ფოროვან წიდას (ხენჯს) გვაგონებს. თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია დავუშვათ, რომ მთვარის წიაღში არის წყალი, ვულკანური წარმოშობის ნახშირმჟავა გაზი, წყალბადი და მინერალური მარილები. და ბოლოს, თუ შესაძლებელია მთვარეზე ნახშირმჟავა გაზის არსებობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გაზს შეუძლია დაშლა, რომლის დროს თავისუფლდება მასში მყოფი ჟანგბადი. ასეთ შემთხვევაში ბათილდება აზრი მთვარეზე სიცოცხლის არსებობის შეუძლებლობაზე. ზემოთ ჩამოთვლილი პირობები (თუ ასეთები არსებობენ მთვარეზე) საკმარისია იმისათვის, რომ ვივარაუდოთ დედამიწის ამ თანამგზავრზე სიცოცხლის უმარტივესი ფორმების არსებობა, რომლებიც შესაძლებელია მიწის ზოგიერთ ბაქტერიას ჰგავდეს.

ეს, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია. მაგრამ საბჭოთა მეცნიერების აზრი უთუოდ მალე ჩასწვდება ისეთ პრობლემებს, რომელთა წამოყენება ამ რამდენიმე ხნის წინათ ძნელად წარმოსადგენი იყო. მთვარეზე ან სხვა ციურ სხეულებზე სიცოცხლის არსებობის უდავო საბუთად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ უშუალო გაცნობა იმ ცოცხალი ორგანიზმებისა, რომლებითაც დასახლებულია ეს სხეულები. ცოცხლებიც რომ არ იყვნენ ეს ორგანიზმები, მათი გვამების ან ორგანიზებული ნაშთების გაცნობა საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ მთვარის წარსულ დასახლებაზე, სწორედ ისევე, როგორც პალეონტოლოგები სწავლობენ დედამიწაზე ოდესღაც არსებულ მცენარეთა და ცხოველთა განვითარების ისტორიას. უკვე მოახლოვდა ის დღე, როდესაც საბჭოთა ადამიანი უშუალო დაკვირვების საშუალებით გადაწყვეტს საკითხს — არსებობენ თუ არა მთვარისა და სხვა ციური სხეულების მიკროსკოპული მკვიდრნი. ჩვენთვის ეს ხვალინდელი დღის საკითხია (თუმცა მეცნიერებისათვის „ხვალინდელი დღე" შეიძლება თვეებისა და წლების მერე დადგეს). ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც ფეხი შედგა კოსმოსურ მიმოსვლათა ეპოქაში, იბადება მეცნიერების ახალი დარგები, მათ შორის კოსმოსური მიკრობიოლოგია.

რას შეისწავლის ეს მეცნიერება, როგორია მისი უახლოესი ამოცანები?

უპირველეს ყოვლისა, იგი იკვლევს, თუ როგორია სინამდვილეში მიკროორგანიზმების არსებობის პირობათა უკიდურესი რყევები. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი ბაქტერია სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს ძლიერ მაღალი (მდუღარე წყალი), ან დაბალი (თხევადი ჰაერი) ტემპერატურის დროსაც კი. აუცილებელია გამოვარკვიოთ, ხომ არ არსებობენ მიკრობების კიდევ უფრო მდგრადი სახეობანი. უპირველეს ამოცანას შეადგენს მთვარის, პლანეტებისა და სხვა ციური სხეულების სიცოცხლის მიკროსკოპული ფორმების შესწავლა. საბჭოთა მეცნიერები მარტო ამით როდი კმაყოფილდებიან, ისინი უკვე მიზნად ისახავენ გამოიყენონ მიკროორგანიზმები კოსმოსური სამყაროს თავისებურ მზვერავთა როლში. ამ საქმეში ადამიანს დახმარებას უწევს მიკრობების მძაფრი გამრავლებისა და თაობათა სწრაფი მონაცვლეობის დიდი უნარი.

კოსმოსური სამყაროს პირობებში მიკროორგანიზმების შესწავლა დიდ ინტერესს წარმოადგენს. მათ თაობათა სწრაფი მონაცვლეობა საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს ბაქტერიების შთამომავლობაზე კოსმოსში ყოფნა. ეს კი ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას: გამოიწვევს თუ არა ადამიანის კოსმოსში გაფრენა მასში ისეთ მემკვიდრეობით ცვლილებებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ შთამომავლობაზე.

ბევრი სხვა ამოცანაც დგება ახალი მეცნიერების წინაშე. ცხადია მხოლოდ ერთი რამ, — არ უნდა დავუშვათ მთვარეზე ან სხვა პლანეტებზე ჩვენი მიწიერი მიკროორგანიზმების შეტანა. ეს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს კოსმოსის შესახებ ჩვენი ცოდნის განვითარებას. მართლაც, ეჭვის ქვეშ დადგებოდა სიცოცხლის იმ ფორმათა წარმოშობა, რომელთა აღმოჩენა შესაძლებელი იქნება ახლო მომავალში. ამასთანავე, ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმ შესაძლებელ ზიანზე, რომლის მიყენება შეუძლიათ მიწის მიკრობებს მთვარისა და სხვა პლანეტების შესაძლებელ მკვიდრთათვის. არ უნდა დავივიწყოთ დედამიწის დაცვაც სხვადასხვანი „კოსმოსური" მიკრობებისაგან. საბჭოთა მეცნიერებმა უკვე გამოიყენეს სტერილიზაციის (მიკრობთა განადგურების) მძლავრი ქიმიური და ფიზიკური შესაძლებლობანი, რომ სავსებით გაწმენდილიყვნენ საგნები, რომლებიც კოსმოსური რაკეტიდან მთვარეზე მოხვდნენ.

ჩვენი მეცნიერება ცოცხალი სამყაროს შესახებ, სიცოცხლის უმცირესი საწყისების შესახებ უნდა ჩასწვდეს ბუნების საიდუმლოებებს ისეთივე წარმატებით, როგორი წარმატებითაც ჩვენმა მკვლევარებმა კოსმოსის თვალუწვდენ სივრცეებში გაიკვლიეს გზა.



## სხვადასხვა


ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისი—ნიუ-იორკი

ამერიკელი პროფესორი იოზეფ ურტისი (ნიუ-იორკი) თბილისში ყოფნის დროს ეწვია ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს აკადემიკოს ავლიპ დავითის ძე ზურაბაშვილს. საბჭოთა მეცნიერმა ამერიკელ კოლეგას გააცნო ის დიდი შემოქმედებითი წარმატებანი, რაც ჩვენს ქვეყანაშია მიღწეული ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ამერიკელი პროფესორი იგონებს: „გამომშვიდობებისას პროფესორმა ზურაბაშვილმა მაჩუქა თავისი წიგნი შიზოფრენიის შესახებ და მთხოვა, რომ მისთვის გამეცნო ჩემი მომავალი ცხოვრებისა და მუშაობის ამბები".

და აი, მართლაც, იოზეფ ურტისს ამერიკაში დაბრუნების შემდეგ დაუწერია და გამოუცია წიგნი „ფსიქიატრიული გამოკვლევები საბჭოთა კავშირში", რომელშიც ცალკე თავი ჩაურთავს სათაურით „თბილისი". ამ თავში ამერიკელ პროფესორს გაშუქებული აქვს თავისი შთაბეჭდილებანი საქართველოს დედაქალაქში გატარებულ დღეებზე, აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილთან და ქართველ ფსიქიატრთა სკოლის სხვა წარმომადგენლებთან საუბრებსა და შემოქმედებითს მეცნიერულ ურთიერთობაზე.

ეს წიგნი იოზეფ ურტისმა გამოუგზავნა ა. ზურაბაშვილს.

წიგნში ჩადებული იყო ურტისის მიერ ჩვენს ინსტიტუტში ყოფნისას გადაღებული ფერადი ფოტოსურათი აკადემიკოს ა. ზურაბაშვილისა, შემდეგი წარწერით: „უგულითადესი სალამით და მადლობით პროფესორ ა. დ. ზურაბაშვილს იოზეფ ურტისისაგან".

სურათზე: აკადემიკოსი ა. დ. ზურაბაშვილი.

ფოტო ამერიკელი პროფესორის იოზეფ ურტისისა.




რევაზ ურუშაძე

მხატვარი გ. კეშელავა

პრემირებული ნარკვევი

## მეთევზეთა ბოლაზში

სოხუმთან მეთევზეთა პატარა ბოლაზია. ზღვა ხმაურობს... შორს ცისკიდური ირკალება, თხელი ნისლი იშლება და სადღაც, სულ იქით, ოქროს ეტლი ამოგრიალდება. ზღვაური ნაპირს თავის ფრთებს შეახებს და ძალას უჩვენებს, ჯაბნის პატარა ბოლაზს. დიდ ნავსადგურში ასე არ არის. ასე არ არის სოხუმში. ხახადაბჩენილი გემებისა და კრიალა ზეცას მიბჯენილი ქარხნის სალამურების, ვეება ავტობუსებისა და პალმების ქალაქია სოხუმი.

პატარა ბოლაზში მეტი სიმშვიდეა. აქ კაციც თითქოს ტალღის ნასხლეტია: დიდი სურვილი და ძალა აქვს. აქედან დიდებული და ლამაზია ზღვა.

ერთბაშად ილვიძებს ბოლაზი. ასე გათენდა გუშინ, გუშინწინაც... სოხუმიდან ნიავს მოჰყვა ქარხნის საყვირების ხმა და ჭვარტლი. ჟივჟივებენ ჭინოები, დაბორკილ სეინერებს აქეზებენ. მეთევზეებსაც აქეზებენ. ამუშავდნენ ძრავები. ღუზა ეშვივით შერჩა სეინერს და ზღვას ფაფარი დაუტოვა. ეკიპაჟის თვალები ნაპირისკენაა. ხელებს აქნევენ ბოლაზიდან. სეინერიდანაც ფრთებივით ფარფატებენ ხელები.

იმედიანი ღიმილით ეთხოვება კაპიტნის ხიდურზე მდგარი ამირან ქარასანიძე ნაპირზე დარჩენილთ. ხმელეთიდან თბილი ღიმილი და ზეაწეული მარჯვენები მიაცილებს კაპიტანს. მხოლოდ მამის მარჯვენას ვერ ამჩნევს ამირანი. მოხუცი გახევებული მისჩერებია ზღვაში გასულთ. მერე დინჯად შემობრუნდება და ნაპირს მიჰყვება...

მიაბიჯებს მოხუცი, ხრეში ხმაურობს. მათე ქარასანიძე გონების თვალს წლების გადაღმა აპყრობს...

წინათ მასაც გაჰყავდა ზღვაში ეკიპაჟი. შვილები ნაპირზე იდგნენ და ხელის ქნევით ეთხოვებოდნენ სეინერის კაპიტანს. თორმეტნი იყვნენ ისინი. ოთხი გოგო და რვა ბიჭი. ზღვის ბალახის ლეიბზე იზრდებოდნენ. ზღვის ბალახი სწრაფად ზრდისო. მერე მზე ფრთებით დაფარეს სვასტიკიანმა სვავებმა... მათეს ბიჭები ეკვეთნენ ამ სვავებს... მზეს ღრუბლები გაუფანტა მამაცმა ხალხმა... გამარჯვების დღეც ერთად იზეიმეს ძმებმა... მხოლოდ ერთი სკამი იყო ცარიელი...

ვახტანგმა ვერ იხილა ხმელეთის გაზაფხული. ზღვამ სამუდამოდ გამოსტაცა მეომარი ნაპირს...

მათე შურს იძიებდა დაკარგული შვილისათვის. თავგამეტებით ებრძოდა სტიქიონს. საჭე მტკიცე ხელს ეპყრა და მუდამ იმარჯვებდა. მერე, როცა საფეთქლებზე მარილმა ამოწვერა, როცა თითქმის საბოლოოდ გაუგეს ერთმანეთს ზღვამ და კაპიტანმა, მათე ქარასანიძე ნაპირს შერჩა. ასე ამბობენ, თვალმა უმტყუნაო. საჭემ ამირანის ხელში გადაინაცვლა...

მშვიდობითაც დაბრუნებულა ნაპირზე!

— მდაა! ხმელეთზე ჟანგი სჭამს სეინერს. ასეა მეზღვაურიც ნაპირზე... — ამოიოხრა მოხუცმა და გზა განაგრძო. ხრეში ხმაურობს. ნაპირზე ჩაცუცქებული მოანკესეები მოკრძალებით ესალმებიან ძველ მეზღვაურს. მას კაცური კაცისათვის საძრახად მიაჩნია ანკესით თევზაობა. მოანკესეები ამას მოხუცის სალამშიც გრძნობენ.

რეზომ შორიდანვე დალანდა მისკენ მიმავალი ბაბუა. ძუა ნაფოტზე დაახვია და ნავის ქვეშ შეძვრა. მოხუცი ნავს მიუახლოვდა. ნავზე ჩამოასვენა მუხლი. მათეს ჩავარდნილი მკერდი ზემოთ წამოიწია.

— რა დიდებული და ლამაზია ზღვა!...

## ზ ღ ვ ა შ ი

შალაშინივით აწვება წყალს სეინერი. ბურბუშელებივით გარბიან ტალღები. კაპიტნის ხიდურზე დგას ამირან ქარასანიძე და მტკიცედ ჩაუბღუჯავს საჭე. ქარნაკრავ სახეზე არც ერთი ნერვი არ ტოკავს. თვალები ზღვას ბაძავენ. მოგორავენ ტალღები და კიჩოს ენარცხებიან.

ფიქრობს კაპიტნის ხიდურზე მდგარი ამირან ქარასანიძე. სივრცე ფიქრის საღერღელს აგიშლის კაცს.

გემბანზე მარტოა ამირანი. ბიჭები კაიუტ-კომპანიაში არიან. კაიუტაში მეტი სიცოცხლეა. სახეები გამოკვეთილი და სხვადასხვანაირია, სულის მოძრაობაც სხვადასხვანაირი.

კაიუტაში ცამეტი მხარბეჭიანი ვაჟკაცი თავს დიდ მოედანზე გრძნობს. ყველა კუნჭული ამოვსებულია. ლოგინები: წყვილ-წყვილად და სართულ-სართულ, კიბის ქვეშ, კარს უკან...

მეზღვაურს უყვარს მარჯვენათი ქადილი. ჯემალ ქარასანიძე და სერგო ძალას ცდიან. ისინი იდაყვებით დაბჯენიან პატარა მაგიდას. ვეება თათები ერთმანეთს გადაჭდობია, მკლავზე თხილის კაკლებივით ამობურცულა ძარღვები. საპირისპირო მხარეს ექაჩებიან ერთმანეთს. გარს მოჯარულები მოწინააღმდეგეებს აქეზებენ:

— მიდი, მიდი, სერგო, დაიმედდი და გადაუღუნავ!

— სერგოს საქმე წასულია. შემდეგი!

— ახლა შენ სცადე, გიორგი!

— ეგ რა ჩემი საქმეა. ღონე კამეჩს უნდა.

— გონების საუკუნეა, ძამია, — ვერ გაიგე?

კაიუტ-კომპანიიდან ხარხარი ისმის. სეინერის ბოლოზე მჯდარი მეთვალყურე თავისი საქმით არის გატაცებული. ჯიბის სარკეში იჭვრიტება და წარბებს ქაჩავს. იგი სახალხო თეატრის მსახიობია და როლს ამზადებს. ბუტბუტით იმეორებს მონოლოგს პიესიდან. წუხელ მთელი ღამე არ უძინია. როლის დაზეპირებას გადაჰყვა. აკვანივით ირწევა სეინერი. ძილი ებრძვის მეთვალყურის თვალებს...

ექომჭერი თევზს უთვალთვალებს. რადისტი ყურადღებით მისჩერებია მას. სეინერი უტევს სივრცეს. ექომჭერმა ქარავანი დალანდა. რადისტმა ყური ცქვიტა და კაპიტანს შეატყობინა. ამირანმა ნიშანი მისცა. ზარი აწკრიალდა.

კაპიტნის ბრძანებაზე კაიუტ-კომპანია დაცარიელდა. ბიჭები ჯალამბარს ეცნენ.

ტოილოთი დაბმული ცხენივით უვლის სეინერი ნავს. ჯალამბარიდან იშლება ბადე და ზღვას ეფინება. სველდება და იძირება. ვნახოთ რა ამოჰყვება მას...

## სასადილოში

მეთევზეთა სასადილო მეორე სეინერია.

როცა კარგი ნადავლით დაბრუნდებოდნენ ზღვიდან, მთელი ეკიპაჟი აქ შემოდიოდა, მათე დახლთან ჭიქა საფერავს გადაკრავდა (მხოლოდ საფერავს. სხვა სასმელი მარილის კბილებს ჯერ არ გადასცდენია). მერე გვერდში მდგარს მკლავს წაჰკრავდა და გააწოდებდა. ასე სათითაოდ ჩამოივლიდა სასმისი, და მხოლოდ ერთხელ...

ამ ტრადიციას ამირანიც განაგრძობს, მათეს უფროსი ვაჟი, მამას რომ წაართვა საჭე. მშვიდობითაც დაბრუნებულან ნაპირზე. ფარედან საფერავის წვეთებივით დაეცა ფანჯარას თვალები. ეს რეზოა.

ბაბუა მათე თავის საყვარელ მაგიდასთანაა, რეზოს თამამად შეუძლია თევზები სახლში წაიღოს. შვილიშვილს მაინც ვერ გაუგია, ასე რამ შეაჯავრა ბაბუას ანკესი. საფერავის წვეთები მოწყდა ფანჯარას. კაკვზე აცმული თევზები და სიხარული გააქანა სახლისკენ რეზომ...



სასადილოში შეირხა თამბაქოს ბოლი. დახლთან ამირანი და მისი ეკიპაჟი ჩამწკრივდა. მებუფეტემ ჭიქა საფერავით შეავსო.

ნამდვილად ნადავლით დაბრუნდნენ!

ნუთუ იმდენი თევზი დაიჭირეს, რამდენიც დაიტრაბახეს?..

ამირანმა გვერდში მდგომ მემანქანე ზურიას მკლავი წაჰკრა და გათეთრებული ჭიქა გადააწოდა. მათემაც იდაყვი წაჰკრა თავის ჭიქას და მარილის ფეხებს დაებჯინა. მაგარი ფეხები აქვს მათეს, უბუსუსო, უჭორფლო და უნაოჭო. მოტრიალდა და კარებისაკენ დაიძრა. სეინერივით ქანაობდა სასადილო.

გარეთ ბინდია. მიაბიჯებს მოხუცი ზღვის ნაპირზე, სირმასავით ელავს თევზი კონვეიერზე, თითქოს სირმების ტალღა მომსკდარა. ჰო, ეს სირმის ტალღა ამირანის ბადეს მოჰყვა ალბათ...

მარილის ფეხები ახმიანებენ ხრეშს. შავი ხავერდივით შრიალებს ბინდი. ფიქრები შრიალებენ მოხუცის თავში. თავქვე ჩამხობილი ნავი თითქოს დაჰქვითინებს მიწას. ნაბიჯი აირია ხრეშზე. ფიქრიც აირია. მოხუცს რაღაც მოებლანდა ფეხებში. დაიხარა, ხელში ძუით დაბურდული ანკესი შერჩა.

— ის მჭედელი უნდა გამოკვე-

რო ასე, ვინც ეს ანკესი გააკეთა. ჯანდაბამდისაც ჰქონია გზა!

მოიქნია და ზღვაში ისროლა.

### უნდობი ზღვა

რამდენიმე ბადის გაშლა და ამირანის ეკიპაჟი დანაქადს შეისრულებს. შესაძლოა დღესვე. სეინერზე გაზაფხული იქნება, მხოლოდ კალენდარზე იქნება ზამთარი. დროს გაუსწრებენ. კარგი ფინიში ექნებათ, ასე ამბობს ექომჭერი, რადისტიც. ასე ამბობს ამირანიც. ასე ფიქრობენ ბიჭებიც. „ავრალი“ და ჯალამბარი ტრიალებს. ბადე წვება წყალზე. სველდება და იძირება. თვალები ბადეს მიჰყვება იმედითა და რწმენით, რომ სიხარულით ახმიანდება ხმელეთი. თევზები ტალღებად დაიძვრებიან კონვეიერზე.

ძრავა გუგუნებს თუ მეთევზეთა გულისცემა? მოგორავენ ტალღები და სეინერის კიჩოს ენარცხებიან. ამირან ქარასანიძის ქარნაკრავ სახეზე არც ერთი ნერვი არ ტოკავს. ფიქრები ხმიანობენ მხოლოდ კაპიტნის თავში.

ზღვას გული უცემს, შინაგანი მიმოქცევაა, ბადე შემოახვია და ხახა ჩაავლო სეინერს. წინ წყალი, უკან ტალღების მეწყერი. ართახებში გახვეული ჩვილივით უმწეოა სეინერი. ართახებს უნდა ახსნა!

მზარეულმა ნაჯახს მიაკითხა, ამირანმა პირი მოუსინჯა იარაღს, ჯალამბართან მივიდა. მოიქნია ნაჯახი და ზღვამ ხახა ჩაავლო გადაჭრილ თოკებს. სეინერმა თავი აიშვა, ბურტყუნით შეუტია სივრცეს. შორს რაღაც ზოლი გამოიკვეთა. მერე ზედ ბოლაზი ამოიზარდა, სეინერმა სვლას უკლო, კონვეიერთან მოშორებით დადგა მორცხვად. ეკიპაჟი ნავში გადაჯდა და ნაპირისაკენ დაიძრა, თითქოს ზღვიდან ამოძვრაო, ეკიპაჟს მათეს ნავი გაუთანასწორდა. ამირანმა თვალი ჰკიდა, როგორ გაიელვა ღიმილმა მოხუცის ბაგეზე...

— აბა რა გეგონათ, ღლაპებო, ზღვას სადაც ძარღვი ერთვის, იქაა გაყუჩებული, იქ არ უცემს გული. მდინარეა ზღვის ძარღვი და ბადეც იქ უნდა გაიშალოს.

ერთმანეთის გვერდ-გვერდ მოცურავენ ნავები. მათ ფინიშზე მსაჯივით უცდის ისაკ კირტავა. ამირანის ნავი სვლას უკლებს, მოხუცსაც ახლა შემოაკლდა საფანელი. მაშინ ახალგაზრდებმა ნიჩბებს აგრძნობინეს ღონე. მათესაც მოემატა ძალა, ნაპირს ერთდროულად მოადგნენ ნავები. მათემ ბადე გადასწია და ვერცხლმა იელვა ნავიდან. აფართხალდნენ თევზები. ისაკ კირტავამ ხელი გაუწოდა მოხუცს. მარილივით ცივი თითები შემოესალტნენ თავმჯდომარის ხელს. ძველ მეზღვაურს რატომღაც გაუხარდა ამ მალულ ქიშპობაში მათეს გამარჯვება. ბეჭგანიერ თავმჯდომარეს ომის წლები უმძიმებს ზურგს, მაგრამ ქედუხრელია მაინც. ენერგიული კაცია ისაკი. მისი ბიჭები ზღვას ებრძვიან. ხანდახან მასაც მოუვლის ჟინი და მაშინ უნდა ნახოთ ისაკ კირტავა.

### მარილისფერ ფარდულში

ჟინჟლავს. ჭინოები უსიამო ხმით დასჭყივიან ნისლის საბანში მბორგავ ზღვას. მარილისფერ ფარდულში ცეცხლი ძვლებს უთბობს მათეს და არტემ ფირცხალავას. ცეცხლს უყვარს ამბები. არტემი ენად გაიკრიფა. მათეს ნებისყოფა აქვს და ხათრს არ უტეხს მეგობარს, უსმენს. იქით, ნავის კიჩოზე ისაკი, ამირანი, ჯემალი, ზურია, სერგო, გიორგი რაღაცას ზომავენ, წონიან, სჯიან...

მოხუცის გულისყურიც იქით არის მიპყრობილი.

ხვალემ უნდა გამოისყიდოსო გუშინდელი. გუშინ ეკიპაჟს ზღვამ მოსტაცა სადავეები. ხვალ ეკიპაჟი ამოსდებს ლაგამს! ბადეს უნდა მიხედვა. თხელ წყალში ბადე ნიადაგში იჭრება, იგლიჯება და თევზიც თავისუფლად სხლტება ბადიდან. სიღრმეშიც არ არის მაინცდამაინც ხელსაყრელიო. „გოდორი“ ბადისა მსუბუქია და შიდა მიმოქცევისას ღრმად ვერ ჩადის. რა ბადე წაგვართვაო ზღვამ. ლითონის საძირეები რომ გაუკეთონ, სიმძიმე დაქაჩავს და წყალი ვეღარ გაიტაცებს... ანდა ექომჭერი კაპიტნის ხიდურზე რომ დაიდგას, როგორც ბათუმელმა გივი უკლებამ გააკეთა. რა მომგებიანი იქნება! კაპიტანი თავად უთვალთვალებს და იმის მიხედვით იმოქმედებსო. დროს მოვიგებთ. ცდა ბედის მონახევრეა.

— სცადონ, ჰე, სცადონ, მათეც სცდის მკლავს. ვნახოთ ვინ გაიტანს ლელოს...

### სავსე ბადეები

თქვეს და სცადეს კიდეც...

ვარაუდი გამართლდა — კაცის აზრმა დაჯაბნა ზღვა. მეთევზეებმა კარგად მოინადირეს ზღვის დარანები. დანაქადი აისრულეს ახალგაზრდებმა. ექომჭერს ვერ ემალება ქარავანი. კაპიტანთან ენა მოაქვს. ბადეს ვერცხლი ამოაქვს ზღვიდან. თევზით გაივსო სეინერი.

ღამე ფეხაკრეფით შემოიპარა ზღვაზე. თევზს შუქი უყვარს, ეკეკლუცება. თევზებმა რა იციან, თუ მათი კეკლუცობის ამბავი მეთევზეებსაც შეუტყიათ. ბადეში შუქფარებს ატანებენ და აღიზიანებენ თევზებს. ბადეს ზღვის უბიდან ამოაქვს და ამოაქვს ვერცხლი. კისრამდე აივსო სეინერი.

სეინერის სადავეები ნაპირზეა. ხმელეთი ეძახის მეზღვაურებს. ზღვაზე ყველაფერი თამამი იზრდება. მეზღვაურებიც თამამები არიან. შორიდანვე იწონებს თავს სეინერი. ჭინოების ამალა მოაცილებს მას.

ბოლაზში ბევრი სიხარული და თევზი მოვიდა...

### ძ ე ბ ნ ა

ამირანი მარტოა ოთახში. ზედა სართულზე ბავშვებს სძინავთ, მეუღლესაც. ამირანი პირდაპირ კი არ მოსულა სახლში: სასადილოში იყო, საფერავი დალია და ზურიას გადააწოდა. მერე მივიდა, ქალიშვილს ნაწნავი ჩამოუშალა და აწვალა. რომ გაეღვიძება, კიდევ ჩამოუშლის. ახლა კლავიშები უცდიან. ამქვეყნად არავინ არ იცის, რომ ამირანს დაკვრა შეუძლია. წლიდან-წლამდე თუ მიაკითხავს როიალს. კაი ხანია ასეთი სიხარული არ სწვევია და — აახმიანა.

ჯერ შეტოკდა სარკესავით მოელვარე ტბა. მერე აჯირითდნენ ტალღები, სიღრმიდან დაიძრნენ და მოთამაშებენ. მომცროს უფრო დიდი ტალღა მოსდევს, დიდს უფრო დიდი და ასე წყება-წყება ჰკოცნიან ნაპირს...

ზარის ხმამ გაახევა ტბა. დადუმდნენ თევზებივით მოშხვარტალე კლავიშები და სარქველს შეეფარნენ. ამირანმა რადიომიმღები ჩართო, ბედზე რადიოც ტბის ქებას ამბობდა.

ჯემალი შემოვარდა ოთახში და ორი სიტყვა დააგდო.

— მამა გაუჩინარდა სადღაც...

ძმებმა სიბნელეს მიაშურეს. მოწყენილი გამოიყურებოდა მეთევზეთა სასადილო უმათეოდ, არტემსაც მოსწყენოდა უმეგობროდ. დღეს ყველას თვალში აკლდა მარილის კაცი. ნაპირს მიაშურეს ძმებმა, საიდანღაც მეზღვაურებიც გაჩნდნენ. ნერვიულად ახმაურდა ხრეში. მათეს ნავი სადღაც გაპარულიყო. მარილისფერი ფარდულიდან დაიძრნენ მოტორიანი ნავები და ზღვას სიმშვიდე დაუფრთხეს. შორსმჭვრეტელი თვალი მოავლეს პროჟექტორებმა სივრცეს. ვერტმფრინავმა გაჰკრა ცას ფრთა და ზღვას მიმოავლო თვალი. მაგრამ ამაოდ!

ფაფარი ჰყარა ზღვას ამირანის ნავმა. ისაკი და ჯემალი ფლანგებს ზვერავენ, ამირანი — ჰორიზონტს. მოგორავენ ტალღები და ნავის კიჩოს ასკდებიან. ისაკ კირტავა გუმანის კაცია.

— თუ ზღვაშია მოხუცი, იქითკენ გასწევდა. გეშს [illegible] თევზზე. ქარავანი სიცივეში სიღრმისაკენ მიიწევს. მათე აედევნა ალბათ, და მერე თვალმა უმტყუნა მოხუცს. მხარი ექცა და ნაპირს ვეღარ აგნებს.

[illegible] ძველი მეზღვაურის ხელში გადაინაცვლა. უცბად შემოტრიალდა ნავი და ტალღებზე გადაჯირითდა. ჯიბის ფარნის შუქი ერთ წერტილს დააკვდა. ნავის კიჩოზე მისვენებულიყო მარილისფერი სახე...

### სეინერთან გამომშვიდობება

ახმაურდა პლაჟი. გარბი-გამორბიან მეთევზეები, ყაყანებენ, ფუსფუსებენ. რუჯი და მარილი. სისხარტე და სიდინჯე. თვალები ზღვას ბაძავენ...

ერთბაშად გაიღვიძა ბოლაზმა. ჟივჟივებენ ჭინოები. დაბორკილ სეინერებს აქეზებენ, მეზღვაურებსაც აქეზებენ. ათუხთუხდნენ ძრავები, სეინერმა ზღვას ფაფარი დაუტოვა. სეინერზე ზღვაური აშრიალებს პატარა ალამს, რომელსაც აწერია „კომუნისტური შრომის ეკიპაჟი“.

ეკიპაჟის თვალები ნაპირისკენაა. ხელებს აქნევენ ბოლაზიდან. აქედანაც ფრთებივით ფარფატებენ ხელები. კაპიტნის ხიდურზე მდგარმა ამირანმაც ასწია მარილის ხელი და მარილმა გაიელვა ბაგეზე...

დაემშვიდობა ეკიპაჟს. ეკიპაჟს თუ სეინერს გამოემშვიდობა საბოლოოდ მოხუცი?!

სეინერი თვალს მიეფარა, მოხუცი მოტრიალდა და დინჯი ნაბიჯით გაჰყვა ნაპირს...

ხმაურობს ხრეში და თავაზიანი ღიმილით იბრუნებენ თავებს ძუას ჩაფრენილი მოანკესეები. სალამი ღვთისაა და მარილი ელავს ბაგეზე, ისევ ხმაურობს ხრეში და წყნარდება. თავჩამხობილი ნავი ისვენებს. მათე მუხლს ასვენებს, ირგვლივ არავინაა. მან ნაფოტზე დახვეული ანკესი გახსნა და ზღვაში მოიქნია. ქვიშა ხმაურობს და რეზო მოძვრება ნავის ქვემოდან. ისიც ანკესს იქნევს...

მარილის თვალები უტევს საფერავის თვალებს, მაგრამ მალე წყნარდება და მარილი ელავს ბაგეზე. მძივებიც ელავენ...

— ანკესით თევზაობაც არ არის საძრახი. ძუა რაღაცა ძაფს აბამს ზღვასა და ხმელეთს შორის!..



# ბობოქარი ზვირთები

ვლადიმერ თორდუა. ელიზბარ უბილავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალიო მირცხულავა**

### ეგოროვი სტუმრად ქანთარიასთან

ხართბს კოლხეთის ქალი და ვაჟი,
აყვავებულან მთები, გორები,
მქუხს ქანთარიას მშობელი ჯვარი,—
სტუმრად მოსულა აქ ეგოროვი.

ფრონტელ მეგობარს ახლაც სწვევია,
მტრებზე მახვილის მსწრედ აღმმართველი,
ძმურად ერთმანეთს გადახვევია
გმირი რუსი და გმირი ქართველი.

და იგონებენ ბრძოლის იმ დროსაც,
როცა დაემხო ბუნაგი მტერთა,
ახლაც ჰფიცავენ დაცხრილულ დროშას,
რაიხსტაგზე რომ აღმართეს ერთად.

შორს კი — მქუხარე ენგურის პირებს
სძრავს ლალუმების მძლავრი გუგუნი,
ახალ ბრძოლისკენ მოუხმობს გმირებს
შრომის გუგუნი
ამ საუკუნის.

1 ივლისი, 1961 წ.



მხნედ მიაბიჯებენ რაიხსტაგის გმირები მელიტონ ქანთარიას მშობლიურ სოფელ ჯვარში.

„ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები ჩემი მეგობრის, რაიხსტაგის გმირის მელიტონ ქანთარიას სამშობლოში. მივესალმები შრომისმოყვარე ქართველ ხალხს მელიტონის სამშობლო სოფელ ჯვარიდან, სადაც ისმის ენგურჰესის მშენებლობის აფეთქებათა ხმა; დაე ეს აფეთქებანი იყოს სალუტი მშვიდობისა მთელ მსოფლიოში!“ — ამ სიტყვებით მიმართა ქართველ ხალხს რაიხსტაგის გმირმა მიხეილ ეგოროვმა.

ეგოროვი და სოფელი ჯვარი, რაიხსტაგი და ენგურჰესი!.. — ეს საიდან, როგორ?! მაგრამ მცირე ხნით გადავდოთ, მკითხველო, ამაზე თხრობა და ცოტა რამ ვთქვათ ენგურჰესის მშენებლობაზე, რომლის აფეთქებათა ხმამ შთამაგონებელი სიტყვები ათქმევინა გმირს.

...დასაბამიდან მოჰქუხს ბობოქარი ენგური სვანეთის მთებიდან, დიდი სისწრაფით მიაქანებდა აჩანჩქერებულ ზვირთებს კოლხეთის დაბლობისაკენ. ალაგ-ალაგ ადამიანი ერეოდა მას, და მაშინ თვინიერად ემსახურებოდა ადამიანს, მიაცურებდა ხე-ტყეს, რათა იგი ქცეულიყო ფიცრებად, ხარაჩოებად — საშენ მასალად და ბოლო დროს ქაღალდადაც კი. მაგრამ იქ, სადაც თავს აიწყვეტდა, ადამიანი უძლური იყო არტახებით შეეკრა ეს დაუოკებელი მდინარე და მაშინ წალეკვით ემუქრებოდა ნაპირებს. ცოტა ზიანი როდი მიუყენებია მას კოლხეთის დაბლობისათვის, ოდიშსამურზაყანოს მცხოვრებთათვის.

დიდხანს იყო ენგური თავაწყვეტილი და ბობოქარი, სანამ საბჭოთა ადამიანმა არ შეძლო მისი დაოკება შავი ზღვის მისადგომებთან, ქალაქ ზუგდიდში, და მის ნაპირებზე არ აღმართა ქაღალდის კომბინატი. სვანეთის მთებიდან ენგურის იაფი ტრანსპორტით ჩამოტანილი ხე-ტყე, ენგურისავე ენერგიით ქაღალდად გარდაქმნილი გადის ხალხში ტომებად, ჟურნალ-გაზეთებად, სახელმძღვანელოებად.

ენგურის ქაღალდი! — ეს უკვე დამკვიდრდა ჩვენი ადამიანების ყოფაში, მაგრამ... ენგურის შუქი? — ამის მიღწევა დიდი ხანია აწვალებდა ადამიანის გონებას. ადამიანი და ენგური დევგმირებივით იდგნენ პირისპირ, როგორც ზღაპრული ფალავნები შერკინების წინ. და აი შეებნენ კიდეც ისინი ერთმანეთს. ადამიანის გონებამ მიაღწია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის აშენების იდეის გამარჯვებას. პროექტი არის, მოსამზადებელი სამუშაოები ჩაღდება; ანგრევენ კლდეებს, აფართოებენ ძველ გზებს, გაჰყავთ ახალი, აშენებენ საცხოვრებელ სახლებს; მოდიან და მოდიან ენგურჰესის მშენებლები, ლაჯანურჰესში წრთობამიღებული მშენებელთა კადრები, ჯვართან, მახსანიაში იმკვიდრებენ ადგილს. აქ ცხარე დღეები აქვთ კალატოზებსა და დურგლებს. ამ ზღაპრული ბუნების წიაღში იგება ახალი ქალაქი. მახსანიადან დაშორებით, ჯვარზენში იგება ცემენტის დიდი ქარხანა ენგურჰესის მშენებლობისათვის, მთებში სულ მალე შემოიჭრება პირველი ორთქლმავალი და ამ მქუხარე ხეობას თავისი კივილითაც აახმიანებს, მას ბანს მისცემენ მთანი მაღალნი. სვანეთსამეგრელოს საზღვართან, ხუდონში, სადაც მომავალი კაშხალი უნდა აიგოს. კიდევ ცოტა ხანი და მიმოსვლა შეწყდება. მთიელი სვანი სხვა გზით ჩამოივაკებს ოდიშში; ხუდონშივე ამუშავდება თაბაშირის ქარხანა, გზა გაჰყავთ მის კარიერებამდე. ქარხნის მშენებლობას ენერგიულად ხელმძღვანელობს მელიტონ ქანთარიას თანამემამულე ინჟინერი მევო ქანთარია. ჯვარიდან სვანეთამდე ახალი გზის სიგანე რვა მეტრი იქნება, იგი მოემსახურება გვირაბისა და კაშხალის მშენებლობას, ჩაუვლის საგუბარს და გაემართება მესტიისაკენ. ახლა გაჰყავთ გვირაბი, რომლითაც მოხდება ენგურის გადაგდება ჯვარის მეორე მხარეს, ოდიშიდან სამურზაყანოში. მდინარის ნაკალაპოტარზე კი გაჩაღდება მშენებლობა. ენგურის ხეობა მოწმეა ადამიანთა დღედაღამ მუშაობისა, აქ ოთხ ცვლად მუშაობენ. ლაჯანურჰესსა და რიონჰესში წრთობამიღებული ახალგაზრდა ინჟინერი გიზო კუჭუხიძე კმაყოფილებით იგონებს ჯვარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, ომგადახდილ ვლადიმერ ქანთარიას, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შალვა გეთიას, სოფლის აქტივის მზრუნველობას მშენებლობისა და მისი ადამიანებისადმი. ისინი მუდამ პირველდაძახებისთანავე მზად არიან ჰესის მშენებელთა გვერდით იყვნენ.

მახსანიაში ახლა დუღს და გადმოდის სიცოცხლე — არიან პირველი მოსახლეები, არის დასახლებაც — გაცხარებით აშენებენ საცხოვრებელ სახლებს.



— კარგად დავიწყეთ...

ისმის ქუხილი გზის გასაფართოებლად, საგუბარისა და გვირაბის გასაყვანად. შემოჰყავთ მაღალი ძაბვა, სულ მალე ამ არემარეს მოედება ოთხი ათასი მუშა ენგურთან შესარკინებლად. აქ ჩამოსული არიან და დღედაღამ მუშაობენ ლაჯანურჰესელი და გუმათჰესელი გვირაბგამყვანები, მშენებლები, მემონტაჟეები, მებეტონეები, დურგლები. მშენებლობას ხელმძღვანელობენ გუმათჰესის მშენებლობის ყოფილი უფროსი, ორდენოსანი ინჟინერი ვასილ ყაველაშვილი და მთავარი ინჟინერი ნოდარ ემხვარი. ახლა აქ იდგმება ჰაერის დამწნევი, გვირაბის დამმუშავებელი კომპრესორები; გვირაბის დიამეტრი 13 მეტრი იქნება, ხოლო სიგრძე რამდენიმე კილომეტრი. ამ გოლიათ გვირაბში იდენს მქუხარე, მაგრამ საბჭოთა ადამიანების ნებით შებორკილი ენგური. ახლა აკეთებენ ბეტონის ქარხანას, ამონტაჟებენ ექსკავატორებს, რომლებმაც უნდა იმუშაონ გვირაბში. აქ, მახსანიაში, ჯვარიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით, იქნება საგუბარი და გვირაბი, ამიტომ მუშაობის თითქმის მთელი სიმძიმის ცენტრი სწორედ აქ არის. როგორც ცნობილია, საქართველოს კომკავშირმა შეფობა აიღო ენგურჰესის მშენებლობაზე. ათასობით კუნთმაგარი, მზით გარუჯული ახალგაზრდა შეუერთდება ჰესის მშენებელთა არმიას კომკავშირული საგზურით, ამიტომ სილამაზით ამ სწორუპოვარ ენგურის ხეობაში გაცხარებული მუშაობაა მათ დასახვედრად.

თხუთმეტჯერ მეტი სიმძლავრისა და ყოველწლიურად 24-ჯერ მეტი ელექტროენერგიის მომცემი, ვიდრე საქართველოში ყველაზე მძლავრი ხრამის პირველი ჰიდროელექტროსადგურია, — აი, როგორი იქნება ჩვენი ენგურჰესი. მდინარე ენგურის ზემო წელში აღმართული თაღოვანი კაშხალი წარმოშობს ამიერკავკასიაში ყველაზე დიდ წყალსაცავს. ეს კაშხალი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი იქნება თაღოვან კაშხალებს შორის.

და ეს მძლავრი, თავისი რთული კომპლექსით ამიერკავკასიაში პირველი ჰესი შვიდწლედის ბოლოსათვის მოგვცემს პირველ დენს — ყველაზე იაფს, ვიდრე დღემდე გვქონია.



ესეც მომავალი მშენებელია.

აი სწორედ შვიდწლედის ამ პირმშოს — ენგურჰესის მშენებლობის გუგუნმა და ქუხილმა მიიპყრო ჯვარის სახელოვანი სტუმრის, დიდი სამამულო ომის 4 წლის მანძილზე ქვემეხთა გრიალს შეჩვეული გმირის მიხეილ ეგოროვის ყურადღება. ის იყო ომისა და ნგრევის გუგუნი, ეს არის მშვიდობისა და შენების მძლავრი ხმა, რისთვისაც იგი იბრძოდა მელიტონ ქანთარიასთან ერთად.

ფაშისტური ურჩხულის ბუნაგში — რაიხსტაგის გუმბათზე დროშის აღმართვამ ბოლო მოუღო ოთხი წლის სისხლის ღვრას. რაიხსტაგის თავზე ამ დროშის აღმმართველნი ახლა კვლავ ხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად მელიტონის მშობლიურ სოფელ ჯვარში. 7 ივნისი სამახსოვრო დღეა ჯვარელებისათვის. ძმა ძმის სახლში ჩამოდიოდა, ორი გმირი ერთმანეთს ხვდებოდა და ამ შეხვედრას ტაშს უკრავდა მთელი ენგურისპირეთი — წალენჯიხისა და მეზობელი რაიონების მშრომელი მოსახლეობა. გმირებმა წელს ერთად იზეიმეს გამარჯვების დღე ბერლინში, ერთხელ კიდევ ერთად ნახეს რაიხსტაგის ნანგრევები, სადაც 16 წლის წინათ გამარჯვების დროშა აღმართეს. მაგრამ სხვა იყო შეხვედრა აქ, საქართველოში — მელიტონის მშობლიურ მიწა-წყალზე. ამ შეხვედრით ერთმანეთს ძმურ ხელს უწვდიდა წალენჯიხა და რუდნი, საქართველო და სმოლენსკის ოლქი, ქართველი და რუსი ხალხი.

იმისათვის, რომ გმირებთან შეხვედრას ახალი შრომითი გამარჯვებებით შეგებებოდნენ, უფრო მარდად მუშაობდა წალენჯიხელი ჩაის მკრეფავი, ფაბრიკის მუშა, მესიმინდე, ახალი გიგანტის — ენგურჰესის მშენებელი.

და აი, გმირები სოფელს უახლოვდებიან. მელიტონი სოფლის დაშორებით შეგებებია თავის თანამოძმეს, რომ მისთვის გზადაგზა ეჩვენებინა თანასოფლელთა შრომითი მამაცობის საქმენი, აყვავებული ბაღ-ვენახები, ჩაის პლანტაციები, მშენებლობანი — ყველაფერი ის, რითაც ამაყობს მთის სოფელი ჯვარი. მიხეილ ეგოროვი, მშობლიური მიწა-წყლიდან რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებული, მაგრამ მშობლიურ გარემოცვაში მყოფი, აღფრთოვანებული შეჰყურებს ირგვლივ მოჯარულ სვანეთ-სამეგრელოს მთებს, ხეობაში მობუბუნე ენგურს, მთა-გორებში ჩაყურსულ სოფელს, სადაც დაირწა თავისი თანამოიარაღის, ხალხის საყვარელი გმირის მელიტონ ქანთარიას აკვანი. დიდი ხანია მიხეილ ეგოროვს აქეთკენ მოუწევდა გული, სადაც თავისი მეორე ოჯახი ეგულებოდა. და ეს მეორე ოჯახი სიხარულით, სიყვარულით ეგებება ძვირფას სტუმარს. მწყობრად მიაბიჯებდნენ გმირები, ბრძოლაში გამოწრთობილი მეგობრები და მათ მიაცილებდა ხალხის ვაშა და აღფრთოვანებული შეძახილები.

როდესაც ჯვარის კულტურის სახლის სცენაზე მიხეილ ეგოროვს ხელს ართმევდა და მამაშვილურად ეხვეოდა მელიტონის მოხუცი მამა ვარლამ ქანთარია, როცა ამ შეხვედრის ერთ-ერთი ინიციატორი, კულტურის სახლის დირექტორი ანტისა [illegible] ჯვარელთა სახელით მიესალმებოდა გმირს, როცა ჯვარელი პიონერები პატაკს აძლევდნენ საქვეყნოდ სახელგანთქმულ ადამიანებს და დარბაზში მტრედები დაფრინავდნენ, აი მაშინ ჯვარში გაისმოდა ლაღუმების გუგუნი. ეს ენგურჰესის ხმა იყო, ხმა შენებისა და განახლებისა. ეს ხმა კიდით კიდემდე გაისმოდა როგორც ომგადახდილ გმირთა საზეიმო შეხვედრისა და მშვიდობიანი შრომის მაუწყებელი სალუტი.

მოზეიმე ხალხის წინაშე წარსდგნენ ხალ-



ხის წიაღიდან აფრენილი არწივები.

— ჩემი ყველაზე საუკეთესო ამხანაგი და თანამოძმე გახდა დიდი რუსი ხალხის წარმომადგენელი მიხეილ ეგოროვი, — ამბობდა მელიტონ ქანთარია. — ჩვენ ერთად აღვმართეთ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა, ერთად ვაშენებთ კომუნიზმს.

— მელიტონ ქანთარიას და ჩემი მეგობრობა, — თქვა მიხეილ ეგოროვმა, — რუსი და ქართველი ხალხების ტრადიციული მეგობრობის ანარეკლია. ჩვენი მეგობრობა ბრძოლაში ნაწრთობია და სისხლით მოპოვებული. მელიტონმა მძიმე ჭრილობა მიიღო სმოლენსკში ჩემი მშობლიური ქალაქის დასაცავად, მე კი, როგორც საბჭოთა მეომარი, სისხლს ვღვრიდი ფრონტებზე, ვიცავდი მელიტონის მშობლიურ სოფელს. ჩვენ ერთად ვიბრძოდით და ერთადვე გავიმარჯვეთ. მე როცა მესმის თქვენი დიდი ჰესის მშენებლობის აფეთქებანი, ისევე ვხარობ, როგორც თქვენ. ჩვენ ერთი გვაქვს გზა და მიზანი, ეს მიზანია საყოველთაო მშვიდობა და კომუნიზმის მშენებლობა. ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა. მადლობა თქვენ, ჯვარელებო, გმირი შვილის გაზრდისა და დღევანდელი ასეთი გულთბილი შეხვედრისათვის!

ჯვარელებმა გმირებს საჩუქრად მიართვეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვაჟა-ფშაველა

მხატვ. ხ. მაისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაჟა
(ქანდაკება)

ბ. ავალიშვილი

ვაჟა ყრმობისას
(ფერწერა)

ტ. ბარდაძე





ვაჟა-ფშაველა
(ფიგურა—ესკიზი)

ი. ოჩიაური, გ. გელა-
შვილი, რ. გვაზავა



ვაჟა 1905 წელს
(ფერწერა)

ლ. ბურდული



ვაჟა
(ავტოლითოგრაფია)

უ. ჯაფარიძე
(სახალხო მხატვარი)

ვაჟა
(მონოტიპია)

ე. მოსევი





ვაჟა თხზვის დროს
(ფერწერა)

ლ. გუდიაშვილი
(სახალხო მხატვარი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩარგალი — მხატვ. შ. მაყაშვილი

# ვაჟას დღეები

მიმდინარე წლის ივლისში საზეიმო ვითარებაში ჩატარდა ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავი. მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით გენიალური ქართველი პოეტისა და მწერლის ვაჟა-ფშაველას იუბილე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღინიშნა.

25 ივლისს მწერალთა სასახლეში შედგა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმი, რომელიც ვაჟას დღეებს მიეძღვნა.

საიუბილეო პლენუმი გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა ი. აბაშიძემ.

დიდი ქართველი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ: ს. ჩიქოვანი, აკ. ბელიაშვილი, დ. ბენაშვილი და ბ. ჟღენტი.

პლენუმზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა გამოჩენილმა პოეტმა ნ. ტიხონოვმა და აზერბაიჯანელმა მწერალმა მ. იბრაჰიმოვმა.

26 ივლისს მთაწმინდის პანთეონში, ვაჟას საფლავთან გაიმართა მიტინგი, რომელშიც, ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვან წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა მწერლებმა.

იმავე დღეს სპორტის სასახლეში, სადაც თავმოყრილი იყო მრავალათასიანი მაყურებელი, მოეწყო ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

მოხსენება ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გააკეთა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ გ. ნ. ჯიბლაძემ.

მომხსენებელმა ვრცლად და ამომწურავად გააშუქა დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება და ცხოვრება.

მისალმებით გამოვიდა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი. მან დამსწრეთა ტაშის გრიალში წაიკითხა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მისალმება საზეიმო სხდომის მონაწილეებისადმი, და მათი სახით, საქართველოს ყველა მშრომელისადმი.

მხურვალე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მოძმე რესპუბლიკების მწერალთა დელეგაციების წევრები: ს. გრანოვსკი, მ. იბრაჰიმოვი, რ. ოვანესიანი, ა. ბაბაჯანი, ტ. ესენოვა, ს. ჯუსუევი და სხვები.

ვაჟას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე ჩვენი ძლევამოსილი ხალხის, მთელი საბჭოთა ლიტერატურის ზეიმად გადაიქცა.

ვაჟას დღეების აღსანიშნავად საზეიმო მიტინგები გაიმართა პოეტის მშობლიურ სოფელ ჩარგალში, თიანეთში, ბათუმში, სამტრედიაში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.



— რა კარგი ჩაია!

თავიანთ სოფელში მოთელილი ნაბდები და მაჯის საათები.

რაიხსტაგის გმირების მიხეილ ეგოროვის და მელიტონ ქანთარიას საგმირო საქმენი ცოცხლობენ და მარად იცოცხლებენ ხალხის გულში.

სწორედ ამის დადასტურება იყო ამას წინათ მოსკოვის საზეიმო კრებაზე მომხდარი ამბავი. ჯვარში ღირსსახსოვარი შეხვედრიდან არ გასულა დიდი ხანი, რომ მელიტონ ქანთარიას სამშობლო სოფელი მოწმე გახდა თავისი სახელოვანი შვილის ახალი დიდებისა: — დიდი სამამულო ომის დაწყების 20 წლისთავის აღსანიშნავი მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება საზეიმო წუთი — დარბაზში შემოაქვთ გამარჯვების დროშა, რომელიც რაიხსტაგზე აფრიალდა 1945 წლის აპრილის სამახსოვრო დღეს. ყველა დამსწრე ფეხზე დგება და მქუხარედ უკრავს ტაშს. დროშა მოაქვს რაიხსტაგის იერიშის ერთ-ერთ მონაწილეს, საბჭოთა კავშირის გმირს პოლკოვნიკ კონსტანტინე ივანეს ძე სამსონოვს. მასთან ერთად არიან საბჭოთა კავშირის გმირები მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია, რომლებმაც ეს ისტორიული დროშა აღმართეს ფაშისტური ციტადელის გუმბათზე. ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი მაგრად ართმევს ხელს ომის მამაც გმირებს.

ეს იყო გამარჯვების დიდი ზეიმი.

ამ გამარჯვებას, ამ მშვიდობას ღუღუნებს ტალღები ენგურისა, რომელიც მალე, ელექტროენერგიად გარდაქმნილი, იდენს ჩვენი ინდუსტრიის ძარღვებში და გზას გაუშუქებს კეთილი ნების, კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს.

1961 წლის 9 მაისს ბერლინში ქართველ ტურისტებთან ერთად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ყვავილები

ლადო აველიანი

მუსიკის სიყვარულმა ერთხელ კიდევ დამრია ხელი. ბილეთის რიგში რომ ვიდექი, მოულოდნელად ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ჭადარა, სათნო გამომეტყველების ქალმა. ათიოდე კაცით უკან იდგა. თვალი შევასწარი, თვითონაც ცნობისმოყვარეობით მიყურებდა. ერთი-ორჯერ, ვითომ სხვათა შორის, კიდევ შევავლე თვალი და გავვოცდი. ვიცანი, თუმცა ორმოციოდე წელი გასულიყო, რაც ერთმანეთი აღარ გვენახა. ქალი მთლად შეცვლილიყო, თმა გასთეთრებოდა. ნაოჭებს სახე ჯერ შესამჩნევად არ დაეღარათ, მაგრამ ასაკს მაინც თავისი გაეტანა და მარტო თვალებს შერჩენოდათ წინანდებური ეშხი და ელვარება. ეს იყო ჩემი პირველი და... უკანასკნელი სიყვარული. როცა ჩვენი მზერა ერთმანეთს შეეფეთა, ქალს უმალ ფერი ეცვალა, ოდნავ წამოენთო, მაგრამ გარინდებით იდგა და თუმცა თვალი მომაშორა, ეტყობოდა, გულისყური ჩემკენ ჰქონდა მოპყრობილი. გადავწყვიტე გამოვცნაურებოდი, მხოლოდ ვერ მომეფიქრებინა, რანაირად შემესრულებინა წადილი. საკვირველია, როგორი გადაცნობა მოჰყვება ხოლმე სკოლის ამხანაგების ორიოდე ათეული წლის უნახაობას. ისინი უცხოებსავით ხვდებიან ქუჩაში ერთმანეთს, და თუმცა გულის სიღრმეში კვლავ სწადიათ გამოლაპარაკება, მაგრამ ჟამთასვლაში წარმოშობილ უცნაურ „გაგარეულებას" ვერაფერს უხერხებენ.

როგორც იყო, სალაროს სარკმელს მივაღწიე. უხერხულობა გადავლახე, ქუდი მოვიხადე და ვიწრო ოთხკუთხა სარკმელში თავი ბავშვივით გავყავი. სწორედ ამ წუთს მომივლინა მხსნელი აზრი — მეყიდა ორი ბილეთი. მოლარეს რატომღაც ჩურჩულით შევთხოვე: ორი კარგი ბილეთი შემირჩიეთ-მეთქი. შესარჩევი აღარაფერიათ, — ღიმილით მომიგო, მაგრამ ნაცნობობამ მაინც გაჭრა. სალაროდან თავბრუდახვეული გამოვბრუნდი, ახმაურებულ ხალხის რიგს ჩავუარე და იმ ქალთან შევჩერდი. თვალებში არ შემიხედნია, ისე, თავდახრილმა, მორცხვად შევბედე:

— ბილეთი თქვენთვისაც ავიღე... ნინო!

ქალმა გაოცებით შემომხედა, გაიცინა, წელანდელივით ეცვალა ფერი და წაიჩურჩულა:

— როგორ მიცანით, სანდრო?!

რიგი დატოვა და გამომყვა. გზაში ბილეთი გადავეცი.

ერთ ხანს მდუმარედ მივაბიჯებდით. დროდადრო თუ მოვუხედავდით ერთურთს და გავიღიმებდით.

მოულოდნელად მკითხა:

— მას აქეთ... სულ თბილისში ცხოვრობთ?

— ბოლო ოციოდე წელიწადი თბილისში ვმასწავლებლობდი. მანამდე სამ-სამი, ოთხ-ოთხი წელიწადი ხან იმერეთში ვასწავლიდი, ხან კახეთში.

— ახლა აღარ ასწავლით?..

— წელიწადია პენსიონერი ვარ.

— ოჯახი...

ვერაფერი ვუპასუხე, თვალი შევავლე და დამნაშავესავით გავეღიმა.

თავის კითხვას ნინომ თვითონვე უპასუხა:

— შვილი გვიან მეყოლა... ჩემი გოგონა ახლა თვრამეტი წლისაა, უმაღლესში პირველ კურსზეა. მეუღლე ხუთი წელია გარდამეცვალა...

ცოლ-შვილი არასოდეს არ მყოლია. ნინო რომ არ მოვიდა იმ საბედისწერო პაემანის შემდეგ, ჩემს გულში სხვა ქალისათვის ბინა არ მიმიჩენია. მაგრამ ახლა, თითქოს გამოჯავრება და სამაგიეროს გადახდა მეწადა, რახან ის გათხოვილა და ქალიშვილიც ჰყოლია, არც ვაციე, არც ვაცხელე და „ვახარე":

— საკვირველია!.. ჩემი ვაჟი კი ოცი წლისაა. მეუღლე მეც სწორედ ხუთი წლის წინათ გარდამეცვალა.

ამის გაგონებაზე გაოცებით შემომხედა. უცნაური, მრავლისმეტყველი მზერა დიდხანს არ მომაშორა. მე კი თავდახრილი მივყვებოდი გვერდით და ეს მისი მზერაც, მისი სიახლოვეც იდუმალ სიამოვნებას მგვრიდა.

ამასობაში რუსთაველის ძეგლს მივუახლოვდით. ნინოს ნაცნობი ქალი შეხვდა. ერთმანეთი გადაკოცნეს და მოიკითხეს. მერე ნინო მე მომიბრუნდა, მეგობარი გამაცნო. თან, სხვათა შორის, მკითხა: — თქვენ საით?

გამოვემშვიდობე იმ იმედით, რომ სამი დღის შემდეგ კვლავ შევხვდებოდი კონცერტზე.

...სამი დღის ლოდინი. მღელვარება, როგორც იყო გადავიტანე. დადგა ის წუთიც, როცა უკანასკნელად შევათვალიერე ძველი კარადის სარკეში ჩემი იერი და ჩაცმულობა. სიძველისა და სინესტისაგან აფორაჯებული სარკის ბრალი იყო, თუ მოხუცებულობისა, ჩემს გარეგნობას მაინცდამაინც არ მოუხიბლავარ. მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ვეტრფოდი — უბრალოებისათვის არც ახლა მიღალატნია. ჩემს ჩაცმულობაში ისეთს ვერაფერს იპოვიდით, რომ დაგეძრახეთ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, უბრალოების ტრფიალმა ბოლოს დაუდევრობამდე მიმიყვანა. დაუდევრობამ შემაჩვია და შემარიგა იმასაც, რომ წვერს ჯერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინათ სამ დღეში ერთხელ თუ ვიპარსავდი, შემდეგ ერთი დღით გავახანგრძლივე ეს, და, ბოლოს, დღეთა ანგარიში სულ დავკარგე. ახლა, სანამ ოთახიდან გავიდოდი, ერთხელ კიდევ მოვისინჯე გულის ჯიბეები... მარჯვნივ, საფულეში კონცერტის ბილეთი მედო, მარცხნივ — ხმელი ყვავილი, ჩემი აუხდენელი სიყვარულის უტყვი მოწმე. ამ ყვავილს ორმოცი წელიწადი ვინახავდი მუყაოს კოლოფში.

გზა სახლიდან კონსერვატორიის დიდი დარბაზის შესასვლელამდე შეუმჩნევლად გავიარე. წლეთა სიმრავლეს სულაც აღარ ვგრძნობდი. გულიც თითქოს ისე მიძგერდა, როგორც ამ ორმოციოდე წლის წინათ, როდესაც პაემანზე მივიჩქაროდი. მაშინ რომ ცოცხალი ყვავილი მეჭირა ხელში, ახლა — დამჭკნარი მედო გულის ჯიბეში. თითქო აღარაფერი არ იყო სახარბიელო ჩემთვის, თავი მაინც მხნედ მეჭირა. შესასვლელთან ხალხი ბლომად მოგროვილიყო. ზოგი, ალბათ, ამხანაგის თუ გულის სწორის, ზოგი კი ბილეთის შემთხვევით შოვნის მოლოდინში იყო. შესასვლელთან შეჯ-

გუფულმა ახალგაზრდებმა ჩემს ჭაღარას თუ სცეს პატივი, გზა რომ ისე სწრაფად დამითმეს. შესასვლელიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, საგარდეერობში, ქალს ჩემი მსუბუქი ლაბადა და ქუდი გადავაწოდე, ნომერი გამოვართვი და თუ აქამდე ცოტა ვიჩქაროდი, ახლა დინჯად შევუყევი ფოიეს კიბეს. რამდენჯერმე კიდევაც შევჩერდი, მაგრამ გულის გამალებულ ძგერას ვერაფერი მოვუხერხე. როგორც იყო მივაღწიე საკონცერტო დარბაზს. პარტერის ბოლო რიგში ერთ-ერთი სკამის საზურგეს ორივე ხელით დავეყრდენ და იქაურობა მოვათვალიერე. რახან ნინო უმალ თვალში არ მეცა, მეშვიდე რიგის მეცხრე და მეათე სკამებზე შევაჩერე მზერა და ცოტა არ იყოს მეუცხოვა, როცა მხოლოდ ერთი სკამი დავინახე თავისუფალი, ნინოს სკამზე კი ვიღაც უცხო გოგონა იჯდა. მისი ამგვარი სითამამე არ მომეწონა. ძალიან არ მიყვარს, როცა გაიძულებენ სთხოვო — სკამი გაგითავისუფლონ. თავიდანვე შევატყე, ის უცხო, მოკლენაწნავებიანი გოგონა — თავს სულაც არა გრძნობდა უხერხულად, არ ეტყობოდა, რომ სხვის სკამზე იჯდა, კონცერტის დაწყებას კი ხუთიოდე წუთიღა უკლდა. ერთი პირობა გავიფიქრე — ჩემს სკამზე დავმჯდარიყავი და გოგონაც თავაზიანად, დროზე გამეფრთხილებინა — სხვა სკამი მოენახა. მაგრამ რახან ნინო ჯერ არ იყო მოსული, კადავწყვიტე ფოიეში დავლოდებოდი, და ის იყო დარბაზიდან გასვლა დავაპირე, რომ უნებლიეთ თვალი მოვკარი, რა მკვირცხლად წამოდგა გოგონა და მარცხნივ ვიღაცას დაუკრა თავი... ხავერდის შავ ფონზე მკაფიოდ გამოკვეთილმა მისმა პროფილმა ჩემი ყურადღება მიიქცია, ცნობისმოყვარეობა აღმიძრა. კიდევ მეტი — ამ პროფილმა ერთბაშად გამაოცა. გარინდებული, თითქმის სუნთქვაშეკრული ველოდი, იქნებ შემოსასვლელისაკენაც გამოიხედოს-მეთქი, მისი სახე რომ მთლიანად დამენახა. ამასობაში გოგონა დაჯდა. ახლა წინანდელზე უფრო მოუსვენრად აცეცებდა თვალებს ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. მე კვლავ მოუთმენლად და გარინდებული ველოდი, როდის მოიხედავდა შემოსასვლელისაკენ. ეს იდუმალი ნატვრაც მალე ამიხდა. გოგონამ მარცხენა მკლავი უეცრად სკამის საზურგეს გადმოაყრდნო და გაოცებული მზერა მიაპყრო დარბაზში შემოსასვლელს. თვალებს არ დავუჯერე... ამ სახემ, ამ მზერამ, ამ მოკლე ნაწნავებმა ერთი წამით თავბრუ დამხვია... ორივე ხელით სკამის საზურგეს უფრო მაგრად ჩავეჭიდე. შემეშინდა არ წავბარბაცებულიყავ. თავი სიზმარში მეგონა. თუმცა ვხედავდი და მესმოდა, როგორ მატულობდა დარბაზში ხმაური და ფუსფუსი, ხალხმა ხომ უკანასკნელ წუთებში იცის მოზღვავება... ეს გოგონა იყო ჩემი ორმოცი წლის წინანდელი სატრფოს ორეული. ჯერ არ მეხილა და არც მსმენოდა შვილის ასეთი საოცარი მსგავსება დედასთან. თუმც ეს გოგონა ძალზე ჰგავდა 18 წლის ნინოს, მაგრამ ჩემთვის იყო სრულიად უცხო. მაინც ეს, წარსულის ხელახლა მოვლენილი ხატება, ისე მიზიდავდა, დავაპირე მივსულიყავი, მის გვერდით დავმჯდარიყავი და თუ იმდენი გამბედაობა არ მეყოფოდა, მოვფერებოდი, მეთქვა რამე, ერთი წუთით მაინც დამეყო მის სიახლოვეს. მაგრამ ეს ახლა ზედმეტად მომეჩვენა. ჩემი სიახლოვე, გვერდით, „თავისუფალ“ სკამზე დაჯდომა მას უთუოდ გააოცებდა, გააწბილებდა და გულსაც ატკენდა. ის ახლა სულ სხვას ელოდა... მე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ დედამ იქნებ გადაკრულად კიდევაც უთხრა, იმ „თავისუფალ“ სკამზე შეიძლება ვინმე, ოციოდე წლის ჭაბუკიც კი დამჯდარიყო...

გამახსენდა, ნინოს რომ ვუთხარი, ოცი წლის ვაჟი მყავს-მეთქი, რა იცოდა ნინომ, რომ ყველაფერში მაჯობა. ახლაც იქნებ უკეთ განსაჯა და ამით მაგრძნობინა, რომ ჩვენი შეხვედრის დრო გასული იყო, ახლა უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ისინი, ვისი შეხვედრის ჯერიც იყო... გული მაინც მეტკინა, ნინო რომ არ მოვიდა. თუ ასე აპირებდა, რატომ არ მითხრა მაშინვე... მაგრამ ახალი ამბავი ხომ არ არის, რომ ქალი ყველაფერს არ იტყვის, ხშირად ქალის ფიქრები და სურვილები უფრო მის გამომეტყველებაში უნდა ამოიკითხო.

გოგონას ერთხელ კიდევ შევავლე თვალი შორიდან. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ მე არ მელოდა. ალბათ, ჩემი, არარსებული, ვაჟის მოლოდინში იყო და ახლა თავს იდუმალ დამნაშავედაც კი ვგრძნობდი...

კონცერტს არ დავესწრებივარ. გულდამშვიდებული წამოვედი შინ. გზაში რამდენჯერმე უნებლიეთ მივიდე გულთან ხელი. არა მარტო იმიტომ, რომ გული მტკიოდა... მარცხენა გულის ჯიბეში მედო ორმოცი წლის წინ გამხმარი ყვავილი... ის ყვავილი, რომელიც წარსულის მოგონებებს კი აღვიძებდა ჩემში, მაგრამ არაფერს აღარ მპირდებოდა მომავალში.

# სხვადასხვა · სხვადასხვა · სხვადასხვა · სხვადასხვა ·

## ყინულთა სამყაროში

გერგეტის მყინვარი ზღვის დონიდან 1.700 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მყინვარის გვერდით ყაზბეგის მაღალმთიანი ზონის მეტეოროლოგიური სადგურია მოთავსებული.

მეტეოროლოგთა პატარა კოლექტივს ახალგაზრდა მოხევე შოთა ღუდუშაური ხელმძღვანელობს.

კავკასიონზე 1.300-ზე მეტი მყინვარი მდებარეობს. ამ მყინვარებს დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოსა და მეზობელი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობისათვის: მათზე დამოკიდებულია. მდინარეების წყლის დებიტი, გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ერთმანეთთან მტკიცედ არის დაკავშირებული მყინვარებისა და ჰავის საკითხი.

მეტეოროლოგები გულდასმით აწარმოებენ მყინვარებზე დაკვირვებას, სწავლობენ მათ მოძრაობას, დნობისა და მატების ინტენსივობას. მეცნიერული დაკ-



ვირვებები წარმოებს აგრეთვე მზის გაბნეულ, პირდაპირ და არეკლილ რადიაციაზე.

რთული კლიმატური პირობების მიუხედავად, მეტეოროლოგები პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, საჭირო ცნობებს დროულად აწვდიან საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს.

გარდა სამეცნიერო მუშაობისა, სადგურის მუშაკები მთამსვლელებს ხშირად ქმედით დახმარებასაც უწევენ მყინვარების დაპყრობაში.

მეტეოროლოგთა კოლექტივმა ამას წინათ სასიხარულო საჩუქარი მიიღო: სადგურში დაიდგა „ზნამიას“ ტიპის ტელევიზორი, რომლის სქემის ნაწილობრივმა შეცვლამ შესაძლებელი გახადა თბილისიდან ტელეგადაცემათა დაუბრკოლებლად მიღება.

მამაც მოზამთრეთა განკარგულებაშია აგრეთვე ბიბლიოთეკა, რადიო, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა გასართობი.

სადგურის მუშაკები ამჟამად ზამთრის თადარიგს იჭერენ. გულდასმით იმარაგებენ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო მასალებს.

...დიდებული მყინვარწვერი დუმილით დასცქერის უსასრულო სივრცეებს, ვინ მოთვლის, რამდენ საიდუმლოს ინახავს იგი, რამდენი ამბავია ჩამარხული ყინულოვან სიღრმეებში, პირქუშ ხეობებში...

სწორედ ამ საიდუმლოებათა გამოსაცნობად იღწვის მოზამთრეთა პატარა ჯგუფი გერგეტის მყინვარზე.




## მსოფლიო კურორტოლოგები და ფიზიოთერაპევტები

1960 წელს ნიუ-იორკში გამოვიდა ცნობარი ფიზიკური მედიცინის (ფიზიოთერაპია — კურორტოლოგია) დარგში მომუშავე მსოფლიოს ყველა ქვეყნის სპეციალისტებზე. საბჭოთა კავშირიდან ცნობარში შეტანილია 19 სპეციალისტი — ფიზიოთერაპევტი და კურორტოლოგი. მათ შორის საქართველოდან: პროფესორი მ. ნოდია, საქართველოს ფიზიოთერაპევტთა და კურორტოლოგთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და რესპუბლიკის მთავარი ფიზიოთერაპევტი; პროფესორი ა. გრიგოლია, კურორტოლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის გამგე; პროფესორი ვ. გოგიბედაშვილი, საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

## სურამის გვირაბი

1886 წლის 9 ივლისს დაამტკიცეს პროექტი სურამის ქედში გვირაბის გაჭრისა და მოლითიდან ხაშურამდე რკინიგზის ახალი ხაზის გაყვანის შესახებ.

2 ათასი მუშა უაღრესად მძიმე პირობებში შეუდგა მუშაობას. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ გვირაბის კედლები რბილი ქანებისაგან შედგებოდა და ხშირი იყო ნიადაგის ჩამოზვავება, წყლის მძლავრი დენა და წვადი გაზების გამოყოფა.

1888 წელს საქართველოში ჩამოსულმა რუსეთის მეფემ ალექსანდრე III სურვილი გამოთქვა, რომ 11 ოქტომბერს დაეთვალიერებინა სურამის გვირაბის მშენებლობა.

ფერდინანდ რიძევსკიმ ზედმიწევნით ზუსტად გაიანგარიშა ბურღვის სადღეღამისო მწარმოებლურობა. მან პირობა მისცა გზათა მინისტრს, რომ გვირაბის ორივე მხარეს მომუშავე მბურღავები ზუსტად 11 ოქტომბრისათვის შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ მუშებს აიძულებდნენ მაქსიმალური დაძაბვით ემუშავნათ, დანიშნულ დღისათვის მაინც ვერ მოხერხდა გვირაბის გაჭრა.

— ნუთუ შეცდომა მომივიდა, ნუთუ მბურღავები ერთმანეთს ასცდნენ? — ფიქრობდა შეშფოთებული ინჟინერი, მაგრამ

მეორე დღეს, 1888 წლის 12 ოქტომბრის დილის 7 საათზე მბურღავები ორივე მხრიდან ზუსტად შეხვდნენ ერთმანეთს.

სურამის გვირაბის მშენებლობა თითქმის 4 წელი გაგრძელდა. პრიმიტიული ტექნიკის პირობებში მშენებლებმა შეძლეს შეექმნათ მეტად რთული და დიდებული ნაგებობა, მათ ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს გვირაბთმშენებლობის ისტორიაში.

მეფის მიერ მშენებლობის დათვალიერების აღსანიშნავად, თბილისელ ვაჭართა სურვილითა და თანხებით, გვირაბის დასავლეთ შესასვლელთან აღმართული იქნა ობელისკი.

საფუძველს მოკლებულია ის ლეგენდა, თითქოს ამ ადგილზე დაკრძალული იყოს ინჟინერი, რომელმაც თითქოს თავი მოიკლა გვირაბის მშენებლობაში დაშვებული შეცდომის გამო.

კარგი იქნებოდა, რომ ობელისკი ახლა გვირაბის სახელოვან მშენებლებისათვის მიგვეძღვნა და ზედ სათანადო წარწერაც გაგვეკეთებინა.

## წყალქვეშ ფარაონის ძეგლისაკენ

მდინარე ნილოსზე, ასუანში დაიწყო გრანდიოზული კაშხალის მშენებლობა. რადგან ამ მშენებლობის გამო საფრთხეში ვარდება ეგვიპტის შესანიშნავი ისტორიული ძეგლები, გაერთიანებული ერების კულტურისა და ჰუმანიტარულ საკითხთა ორგანიზაციამ — იუნესკომ წამოაყენა წინადადება ფარაონთა უძველესი ძეგლების დაცვის შესახებ. ბევრ წინადადებათა



შორის თავისი ორიგინალობით და გაბედული აზრით გამოირჩევა პოლონური პროექტი. მისი ავტორია ვარშაველი პროფესორი კემერტოვიჩი. ამ პროექტში სანიმუშოდ გათვალისწინებულია ერთ-ერთი ძეგლის (აბუ სიმბელეს ტაძრის) დაცვა. მისი შინაარსი ასეთია: აბუ სიმბელეს ტაძრის ძირსა და თავზე კლდე დამუშავდება ელექტროოსმოსის მეთოდით და გაკაჟებული, წყალშეუვალი გახდება. მთელი ტაძარი რამზეს II ქანდაკებითურთ გადაიხურება ჰიდროიზოლირებული რკინაბეტონის ხუფით, რომელიც დაეყრდნობა კლდის „კებერტიზირებულ“ ადგილებს.

ამის შემდეგ აქ მოეწყობა ნაპირიდან წყალსაცავი შეჭრილი მოლი (გემთმისადგომი ბაქანი). გემიდან გადმოსვლის შემდეგ ლიფტი ტურისტებს ჩაიყვანს ასუანის ზღვის ფსკერზე, ტაძართან, სადაც ისინი აღმოჩნდებიან ნეონის ნათურებით განათებულ რამზეს II ვებერთელა ქანდაკების წინ.

სხვადასხვა

## ფიტონციდები

ფიტონციდებს უწოდებენ ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად მოქმედებენ ბაქტერიებზე.

პენიცილინი და სხვა ანტიბიოტიკები, რომლებიც უმდაბლესი მცენარეებისაგან მზადდება, ფიტონციდებს განეკუთვნებიან. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ყველა მცენარე გამოჰყოფს ფიტონციდებს, მათი რაოდენობა დამოკიდებულია წელიწადის დროზე და მცენარის თვითდაცვის საჭიროებაზე.

ფიტონციდებს უხვად შეიცავს ნიორი, ხახვი, მდოგვი, წიწაკა, ალოე, ალვის ხის კვირტები, წყავის ფოთლები და სხვ. ამ ნივთიერებათა გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის მავნე ბაქტერიების განადგურებაში.

ნედლი ნივრისა და ხახვის ფიტონციდების გეგმაზომიერად გამოყენება არა მარტო ორგანიზმში მოხვედრილ ბაქტერიებს სპობს, არამედ დადებით გავლენასაც ახდენს სხეულის ქსოვილებზე, ნერვულ სისტემაზე, ლორწოვან გარსსა და კუჭის წვენის ნორმალურ გამოყოფაზე.

ნივრისა და კომბოსტოს ფიტონციდებით მკურნალობენ ჩირქოვან წყლულებს, სხვადასხვა სოკოვან დაავადებას, ფილტვებში მიმდინარე ჩირქოვანი ხასიათის ანთებად პროცესებს, ფიტონციდები წარმატებით გამოიყენება აგრეთვე გრიპოზული და ნაწლავების ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ. ევკალიპტის, „ანტონოვკის“ ჯიშის ვაშლისა და ალვის ხის ფიტონციდები საუკეთესო საშუალებაა გრიპის გამომწვევი ვირუსების მოსასპობად.

ნივრის, ხახვისა და პირშუშხას ანაორთქლი რამდენიმე წუთში კლავს დიზენტერიის მიკრობებს, სხვადასხვა ბაქტერიებსა და სოკოებს. მათი ფიტონციდების მოქმედების შემდეგ ხუთი წუთის განმავლობაში იღუპებიან კოხის ჩხირები, რომლებიც გამშრალ ნახველში რამდენიმე თვის განმავლობაში ძლებენ.

ფიტონციდებით მკურნალობა კარგ ეფექტს იძლევა პირის ღრუს ანთებითი პროცესისა და ანგინის მკურნალობის დროსაც.

როგორც ვხედავთ, ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად ფიტონციდებს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ამჟამად წარმოებს კვლევითი მუშაობა, რათა ნივრისა და კომბოსტოსაგან დამზადდეს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ეფექტიანი პრეპარატი. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, საჭიროა უფრო ფართოდ გაიშალოს მუშაობა ახალი ფიტონციდების გამოსავლენად. ამ დარგში მოპოვებული წარმატება დიდად შეგვიწყობს ხელს მწვავე ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ორდე დგებუაძე** მოთხრობა

მხატვარი ც. მასხარაძე

— არა, არ მეძინება,—მიპასუხა ვლადიმერმა და ოდნავ გასაგონად განაგრძო,—მე სულ სხვა რამე მაწუხებს...

— მაინც, რა?

— დღეს ოცდაათი წელი შემისრულდა, ცოლი თურმე ამ დღისთვის დიდი ხანი ემზადებოდა. ჩემთვის ვერცხლის სათუთუნეც ეყიდა, მაგრამ...

— მაგრამ შენ, მეგობრებთან შეხვედრაზე უფრო სტასისა და საიდოვის ნახვა გაინტერესებს,—ჩამოვართვი სიტყვა და „გაზიკის“ ვიწრო სარკმელიდან გავიხედე, თოვლის ფანტელებს ქარი ათამაშებდა.

— როგორც ხედავ, მაგრამ მე ჩემს ოჯახობაზე მომდის გული,—ჩაილაპარაკა და პაპიროსს მიეძალა.

— რატომ?

— ტყუილად ამღერდა...

ასეთი აღრენილი ვლადიმერი ჯერ არ მენახა, ვერ ვცნობდი ამ დაუზარებელ გულმაგარ ვაჟკაცს, მაგრამ ეს მე სრულებით არ მაწუხებდა. მეც მიგრძვნია სულის ასეთი, წამიერი შებურუსება, მაგრამ ბურუსი ისევ შეუმჩნევლად გამქრალა. უკვალოდ.

— მერე, რა მოგივიდა, შე კაცო! წელს თუ არა, მომავალ წელს აღნიშნავ დაბადების დღეს, თუ მაშინაც ვერ მოახერხე, წინ კიდევ ბევრი წლებია.

— ალბათ, სიბერეში, ანდა უფრო ადრე, თუ სტასმა და საიდოვმა ფეხები მომანტვრია, არა?

— მერე რა? მოყვასისთვის ფეხები კი არა, თავი რომ დაკარგო, არ უნდა ინანო.

— ჰო, ვიცი, ის მოყვასი სასაფლაომდი არ მიგაცილებს...

— არც ამაზე იდარდო, დაუმარხავი არ დარჩები.

მძღოლმა გზაჯვარედინზე დაამუხრუჭა, საით წავიდეთო, მკითხა და გაციებულ ხელებს სრესა დაუწყო.

იქნებ ტურგენევის ქუჩისკენ ჯობდეს წასვლაო, მითხრა გულმა. და მეც გულის ნათქვამი ხმამაღლა გავიმეორე, პირტახიას გადავხედე.

ვლადიმერმა ყურები აცქვიტა, წელში გაიმართა.

— ამას რა კითხვა უნდა, ჯერ იქ, ზუბინას ბინაში...

— უცხო ქალაქში, ადგილობრივი ამხანაგების გაფრთხილების გარეშე, როგორ შეიძლება, უფლება არა გვაქვს,—ვუპასუხე პირტახიას, მაგრამ არა იმიტომ, რომ მხოლოდ უფლება მაბრკოლებდა, მე ერთი კაცით ორ თავგანწირულ კაცთან შებმა მაფიქრებდა. იქნებ კიდევ ვინმე შემოემატათ...

— უფლება!—ჩაიცინა ვლადიმერმა. შევატყვე, რომ ხიფათის მოახლოებამ სწრაფად შეცვალა ეს დაღვრემილი ვაჟკაცი,—რა დროს უფლებაზეა ლაპარაკი, როცა ყოველი წუთი ძვირფასია. იქნებ ისინი ახლა იქ არიან და სანამ ჩვენ უფლებას კაბინეტებში ძებნას დავუწყებდეთ, ხომ შეიძლება წავიდნენ? მერე?

(დასაწყ. იხ. „დროშა“ № 4, 6, 7)

მოუსვენრობდა პირტახია. თუმცა მანქანაში ბნელოდა, მაგრამ მე კარგად ვხედავდი, ასეთ დროს, როგორც ყოველთვის, თუ როგორ აცეცებდა თაფლისფერ თვალებს, ისრესდა თითებს და დასიცხულივით როგორ ილოკავდა ტუჩებს.

— ბიჭო, რომ დაგვხოცონ და მერე მოყვასებმა სასაფლაომდი არ მიგვაცილონ,—ვუთხარი ირონიით, მაგრამ გულმა ტურგენევის ქუჩისაკენ მირჩია წასვლა.

— ჰო, კარგი, ოღონდ მათ შევხვდე და მერე მოვკვდე,—მძღოლს უბიძგა, წადი, რას უდგეხარო.

— წავიდეთ?—მკითხა მძღოლმა.

— ჩადი, გაიგე, დააზუსტე სად არის ტურგენევის ქუჩა და წავიდეთ.

მძღოლი მანქანიდან გადავიდა. ვლადიმერი შეციებულივით მოიკაკვა და ისე გაილურსა, თითქოს ძილმა წაიღოო.

მძღოლი მალე დაბრუნდა. ზუბინას სახლი ახლოს ყოფილაო, მითხრა და მოტორი ჩართო.

...„გაზიკი“ ტურგენევის ქუჩის თავზე დავაყენეთ. მძღოლი მანქანასთან დავტოვეთ და ჩვენ, ამ სუსტად განათებულ ქუჩას ნელი ნაბიჯით გავყევით. წინ მიმავალმა ვლადიმერმა, მოპირდაპირე ტროტუარზე, ერთ ალაყაფის კარს ზემოთ ცხრიანს მოჰკრა თვალი და შედგა.

ეზოში ბნელოდა. ტროტუარზე დიდხანს დგომა არ შეიძლებოდა. ქვაფენილზე გადავედი და ვლადიმერს ვანიშნე გამომყოლოდა.

ალაყაფის კარებს იქით, ჩაბნელებული პატარა ეზო აგურის მაღალი კედლით იყო შემოკავებული. მყუდროებას პატარა შადრევნის ხმაური არღვევდა. ეზოში შევედი, მარცხნივ მივიხედე. ფანჯრიდან დავინახე გაჩირაღდნებული ოთახის ჭერი. ორი თუ სამი საფეხურიანი კიბე ეზოში ჩამოდიოდა. ბინას მეორე გასასვლელი არ უნდა ჰქონდეს-მეთქი, ვიფიქრე და ვლადიმერს მივუბრუნდი:

— შენ აქ იდექი, კარებს, უდარაჯე,—ჩავჩურჩულე და ფეხი გადავდგი, მაგრამ მეგობრის ხელი მკლავზე ჩამეჭიდა.

— მე, მე წავალ, მსუბუქი ჩექმები მაცვია, ფანჯარასთან უხმოდ მივალ, შეუმჩნევლად დავზვერავ. თუ შიგ არიან, შენ შედი,—დამაჯერებელი კილოთი მეჩურჩულებოდა, მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ მატყუებდა. ის დაზვერვისთვის დროს არ დაკარგავდა, ბინაში ჯიქურ შევიდოდა. იმდენად ჩქარობდა ავაზაკებთან შებმას, არც კი გახსენებია, რომ ჩვენ ორთავეს ერთი მოხელის შეკერილი ერთნაირი მოყვანილობის ჩექმები გვეცვა.

— აქ იყავი—ვუბრძანე, მკლავი გავითავისუფლე და ფეხაკრეფით წავედი წინ.

პირველი ფანჯრიდან ვერაფერი დავი-

ნახე. ნაოჭებად ჩამოშვებულ ნაყშიან ფარდაში თვალი ვერ ატანდა. კარები მქრქალი შუშებით იყო მომინული. მივაყურადე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარს ავუარე, მეორე ფანჯარაში შევიხედე. აქაც ისეთივე ფარდა, მაგრამ ცალ მხარეს ოდნავ გადაწეული. შევიჭვრიტე. ამ ოთახში ნათურა ოდნავ ბჟუტავდა, თეთრ კედლებზე, რაღაცის ლანდი საქანელასავით ირწეოდა. დავაკვირდი. ჭერზე დაკიდულ სარწეველას ვიღაცის ხელი აქანავებდა. ქალის ხელს არ გავდა. დიდი, მამაკაცური მეჩვენა. იქნებ ის არის?—გამიელვა აზრმა. ზუბინას ქალი ხომ შარშან ფეხმძიმედ იყო? თუ ბავშვი ეყოლა, რა გასაკვირია, ბორისი—მამა, შვილის სარწეველას არწევდეს?

ოთახში შესვლა განვიზრახე. ასეთი საფრთხის წინაშე მდგარს დიდხანს ფიქრი რომ არ მმართებდა, კარგად ვიცოდი. ახლა, უკვე არაერთხელ ნაცად ხერხს უნდა მივნდობოდი. წელში თამამად გავიმართე და წინ ისე გავიწიე, თითქოს ახლობლის ბინის კარი უნდა შემეღო. დავაკაკუნე

— მობრძანდით.—მომესმა მამაკაცის ბოხი ხმა და რატომღაც ტანში ჟრუანტელმა დამიარა. კარის სახელურს მოვერიდე. შიშია თუ მოუთმენლობაო, მკითხა გულმა და ზღურბლს მაშინ გადავალაჯე, როცა დავრწმუნდი, რომ მეჩქარებოდა შეხვედრა იმ არაკაცებთან, რომლებმაც ჩემი პროფესიონალური თავმოყვარეობა შელახეს—ცხვირწინ ტაძარი გამიძარცვეს, ადამიანი მომიკლეს.

ჯიბეში დამბაჩის დამცავი დავუშვი.

— ვინ გინდათ?—მოისმა ისევ ბოხი ხმა მეორე ოთახიდან.

პირველ ოთახში არავინ იყო. მეორე ოთახის ღია კარებს მივაშურე. მეჩქარებოდა. მოწინააღმდეგისთვის წამოდგომის საშუალება არ უნდა მიმეცა.

ჩასხმული აგებულების, საშუალო ტანის, შავულვაშიან მამაკაცს, ხუჭუჭი შავი თმა შუბლზე ჰქონდა დაყრილი.

ბორის საიდოვი! გამიელვა აზრმა და გაცბუნებულს თავზე დავადექი.

საიდოვს სარწეველადან ჩამოცურებული ხელი ისე მიჰქონდა თეძოსკენ, თითქოს ეპარებაო რაღაცას და, თან მე თვალს არ მაშორებდა.

ჭერზე მოქანავე სარწეველას რგოლის ხმაური არღვევდა მყუდროებას.

მე ჯერ, უცოდველი სახით ოლღა პეტრეს ასული მინდოდა მომეკითხა, მაგრამ, როცა ბორისის ხელი თეძოს მიუახლოვდა და მის შავ, მოუსვენარ თვალებში ბოროტი განზრახვა დავლანდე, არ დავაყოვნე, ნაბიჯით უკან დავიხიე და დამბაჩა ვიშიშვლე.

გამოცდილ ბანდიტს თეძოსკენ წაღებული ხელი მუხლზე მოწყვეტით დაუვარდა, წამით თვალები დახუჭა და კბილები ისე გააკრაჭუნა, თითქოს კედლიდან დაჟანგული ლურსმანი ამოაძვრესო.

გათანგულს მარჯვენა ხელზე დავაკვირდი. გამოერკვა. ჩემს საეჭვო გახედვას ქამანდასავით შეაბა თვალი და აიმრიზა. მუხლზე გაშლილი ხელი დამუშტა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მის მარჯვენა ხელზე მოჭრილმა თითმა დამარწმუნა, რომ ის, სწორედ ის იყო, ვისაც ვეძებდი.

დამბაჩა გავმართე, მისი ლამაზად ამობურთული შუბლი ნიშანში ამოვიღე. ხელები თავზე დაიწყვე-მეთქი, ვუთხარი ხმადაბლა, მაგრამ ბრძანების კილოთი. საიდოვმა მწარედ ამოიგმინა, მაღლა აწეული ხელების თითები ერთმანეთს გადააჭდო და თავზე დაიწყო. წამოვაყენე. წინ გამიძეხი-მეთქი, ვუბრძანე. ის იყო, საიდოვმა მეორე ოთახში ფეხი შედგა და ვლადიმერმაც კარი შემოაღო.

ბორისს, ხალათის ქვეშ, სწორედ იმ ბარძაყთან, საითაც ჩემს დანახვაზე მისმა მარჯვენამ გაიწია, «სტოლიპინის ბრაუნინგი» აღმოაჩნდა.

დაპატიმრებულმა ტანსაცმელი გამოიცვალა. ჩემოდანში საცვლები, პირსახოცი და სხვა საჭირო ნივთები ჩაალაგა. ის ერთ ხანს უძრავად იდგა, თითქოს ძნელად გადასაწყვეტ საქმეზე ფიქრობსო, მერე მწარედ გაიღიმა და შემომხედა:

— აბა, წავიდეთ.

— წავიდეთ,—ვუპასუხე მშვიდად და ვლადიმერს ვანიშნე წინ წასულიყო.



— სად არის სტასი?—ვკითხე, როცა ავტომანქანაში მოვთავსდით.

— სტასი?...—ჩაიხითხითა,—უდ-უზრუნველ ყოფილხართ.

— არ მესმის,—მივუგე მე.

— მიამიტი კაცი ყოფილხართ-მეთქი.

— რატომ?

— იქნებ, სტასის სადარბაზო ბარათი გინდათ მოგართვათ?—თავი მიაბრუნა.—სხვა რამეზე ილაპარაკეთ. სტასს ისე ვერ იხილავთ, როგორც საკუთარ ყურებს.

ჩქარა უნდა გვემოქმედა. მართლა ერთ წუთს შეეძლო სტასისა და იქნებ კიდევ სხვების, ჩვენთვის ცნობილ თუ უცნობ ბოროტმოქმედთა ბედი გადაეწყვიტა.

ახლა, პატიმრის რაც შეიძლება ჩქარა სამიედო ადგილზე „დაბინავება" და უკან დაბრუნება, ზუბინას ბინაში ჩასაფრება იყო საჭირო. ეს ბინა, დანარჩენ ავაზაკთა შესაპყრობად ისე უნდა გამოგვდგომოდა, როგორც ფაცერი მეთევზეს. თუ სტასი ამ ქალაქში იმყოფებოდა, ამ ბინას გვერდს ვერ აუვლიდა. სასიხარულო ის იყო, რომ საიდოვის დაპატიმრება ტურგენევის ცხრა ნომერში არავის გაუგია და ამიტომ ამ ხაფანგში დანარჩენებიც რომ უშიშრად შემოყოფდნენ თავს, ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული.

მძღოლმა გზაჯვარედინზე ავტომანქანა შეაყენა და გუშაგ მილიციელს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მისამართი ჰკითხა.

საიდოვი გაირინდა და მერე, როცა გზა განვაგრძეთ, მე მომიბრუნდა:

— შეიძლება გკითხოთ ვინა ხართ? რას მერჩით? რა გინდათ ჩემგან?

— გაინტერესებთ ჩვენი ვინაობა?—ვკითხე ხმამაღლა.

— არ უნდა ვიცოდე ვინა ხართ, სად მიგყავართ?—მიპასუხა და გაფაციცდა.

— ზინაიდა ნიკოლოზის ასულის ახლო ნათესავი გახლავართ.

ოდნავ შეკრთა, სუნთქვა შეეკრა წამით, მაგრამ თავს ძალა დაატანა.

— ვინ არის ზინაიდა ნიკოლოზის ასული?

— კანტაკუზენი, მაგრამ ამაზე მერე, როცა დავბინავდებით ბევრი გვექნება სალაპარაკო.—მძღოლს მივუბრუნდი,—იჩქარე, ზუბინას ბინაში უნდა დავბრუნდეთ, ბორისის ძმაკაცებს უნდა დავუხვდეთ, თორემ ამ ყმაწვილის ძებნაში დაიღლებიან, შეწუხდებიან.

საიდოვის სიმივით დაჭიმული სხეული საოცრად მოეშვა და სულ მალე ისე დაიფუშა თითქოს საცაა სული ამოძვრებაო.

არაფერი იყო გასაკვირი. კანტაკუზენის ხსენება საკმარისი იყო ბორისისათვის ეგრძნო, რომ ყველაფერი გათავდა, რომ მან, გულქვა და შეუბრალებელმა ადამიანმა ახლა სხვისი სისხლი და ცრემლებისათვის პასუხი უნდა აგოს.

ჩვენი მანქანა სამძებრო განყოფილების შენობის წინ გაჩერდა. „გაზიკიდან" ჯერ ვლადიმერი ჩამოვიდა მერე საიდოვმა ზლაზვნით ჩამოალაჯა და ახალგაღვიძებულივით გაიზმორა, მერე შენობის მისასვლელისაკენ ძლივს შებრუნდა და ფეხი აითრია.

— გაგიწყრეს, სიონის ღვთისმშობლის ხატი, რამ დაგბორკა, გადადგი ფეხი!—შევუტიე და მივუახლოვდი.

ბორისმა ისე გაიღიმა, თითქოს თავს აცოდებსო ვიღაცას და ანაზდად წელში გამართულმა, ჰო, კარგი, გავიგე, რომ ყველაფერი იცითო,—მიპასუხა და განყოფილების განიერ კიბეს მძიმე ნაბიჯით აუყვა.

— განყოფილებაში ზუბინას ბინის გაჩხრეკის ორდერი გამოვიწერეს და ორი თანამშრომლის თანხლებით ტურგენევის ქუჩისაკენ გავემგზავრეთ. ორივე მანქანა ქუჩის თავში დავტოვეთ. ერთი [illegible] ეზოს შესასვლელთან დარჩა, ისე ფრთხილად მივედი მომინულ კარებთან და მივაყურე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ფანჯარაში შევიჭვრიტე. ნათურა ოდნავ ბჟუტავდა, მაგრამ თეთრ კედელზე ლანდი საქანელასავით არ ირწეოდა. სარწეველა უძრავად იდგა,—[illegible] ზუბინა ბავშვიანად [illegible]-მეთქი, ვიფიქრე და კარს მივაშურე. დიასახლისი შინ არ იყო. ბავშვს ტკბილად ეძინა. [illegible] ბაგეზე ნათელი ღიმილი [illegible].

[illegible] და გულდაჯერე-[illegible] მამის ავაზაკობა საკუთარი ლანდივით აედევნება,—თითქოს ჩამჩურჩულა ვიღაცამ და უცოდველის ფუნთუშა ლოყის კოცნა მომინდა: დროზე განვლაგდეთო, მითხრა ვლადიმერმა და მეც გამოვერკვიე. მივიხედ-მოვიხედე. იმ ოთახის კუთხეში, რომელშიც ბავშვს ეძინა, ჟოლოსფერი საკეცი თეჯირი იდგა. ვლადიმერსა და მეორე ორჯონიკიძელ მასპინძელს ამ თეჯირის უკან დამალვა ვუბრძანე. მე, წინა ოთახში გამოვდგი ფეხი. რომ იქ, განიერ კარადას ამოვფარებოდი. მაღალმა, ქერა ქალმა კარი შემოაღო. დიასახლისს ხელში ფაიფურის სარძევე ეჭირა. დამინახა და შედგა. უხერხულობა იგრძნო რატომღაც. სარძევე, იქვე, აქვარიუმის პატარა მაგიდაზე ჩამოდგა და მე, უხმოდ მდგარს, გაურკვეველი გამომეტყველებით მომაჩერდა. ქალმა თვალი მეორე ოთახისაკენ გააპარა და როცა იქ ბორისი ვერ ნახა, ისე შეიშმუშნა, თითქოს რაღაცაში დაეჭვდაო.

— ბორისი?!—მის ხმაში თუმცა ოდნავი შიში იგრძნობოდა, მაგრამ მაინც მოკრძალებით გამიღიმა,—თქვენ მარტო... სად არის ბორის თედორეს-ძე?—და უკანა ოთახისაკენ ისეთი მოძრაობით გაემართა, თითქოს საპატიო სტუმარს უნდა გაუძღვესო. მეც თან გავყევი. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახს თვალი მოავლო, ბავშვს შეხედა და მშვიდად ამოისუნთქა.

— ბორისს ნუ ეძებთ, მადლობა ღმერთს, დროზე მოვუსწარით და გადავარჩინეთ.

— გადაარჩინეთ!... არაფერი მესმის,—ცისფერ თვალებზე ემზადებავი შიში გადაეფარა, მაგრამ ბავშვური გულუბრყვილობის სიმარტივე მაინც ვერ დაფარა.

მართალი უთქამს რაისას-მეთქი, ვიფიქრე. ამ ქალის ერთი შეხედვაც კი საკმარისი იყო, რომ გამოცდილ თვალებს მასში, [illegible] ამოეკითხა. ის ლამაზი არ იყო, მაგრამ მის ქალურ ეშხს მამაკაცის თვალი ვერ გაექცეოდა. გამხდარი, მოგრძო სახე ლამაზად წინწამოწეული შუბლით ჰქონდა დაჩრდილული. უფერული ტუჩები, ორ წინა კბილს გაეყარა, მაგრამ შუაზე სათუთად ჩაჩვრეტილი ნიკაპი თავისებურ სინატიფეს აძლევდა მაღალი ყელითა და სავსე გულ-მკერდით დამშვენებულ არსებას. მისი თვალები თითქოს ღია კარები იყო, სიკეთით სავსე გულში ჩასახედი. სწორედ ამ გულისა და თვალების პატრონის სათუთი ბუნების ბრალი უნდა იყოს ის, რომ მან თავისი ბედი ბორისს დაუკავშირა-მეთქი, ვიფიქრე. მჯეროდა, რომ ამ ქალთან ამ წუთშივე შეიძლებოდა გულახდილი ლაპარაკი, მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევისათვის, სიფრთხილე ვამჯობინე.

— დროზე ყველაფერს გაიგებთ... ახლა ბევრი ლაპარაკის დრო არ არის, ბორისზე ნუ ფიქრობთ. ის უშიშარ ადგილზეა. ჩვენ მის მტრებთან შესახვედრად მოვედით. ჩვენ რომ არა, მას ამაღამ ბოლოს მოუღებდნენ,—რაც შეიძლება ჩქარა უნდა მეთქვა ისეთი რამ, რაც ამ ქალს დაამშვიდებდა, მაგრამ დრო არ მყოფნიდა, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო სტასი და იქნებ კიდევ ვიღაც მისი თანამზრახველი გამოჩენილიყო.—ჩემთან კიდევ არიან ამხანაგები... თეჯირს უკან... ჩვენ უნდა შევხვდეთ მათ. არ იფიქროთ, რომ ჩვენ ცუდი ხალხი ვიყოთ. თუ გნებავთ, აი, დოკუმენტი,—ხელი ჯიბისკენ წავიღე, მაგრამ ქალმა უფერულად გამიღიმა და, როგორ გეკადრებათო, ჩაილაპარაკა. არეული ნაბიჯით სარწეველასკენ წავიდა, სკამზე მოიკეცა.

— ღმერთო ჩემო! ვინ უნდა იყვნენ ბორისის, ამ უწყინარი კაცის მტრები?!—ქალმა სარწეველას თოკს ხელი წაავლო და ბავშვი ისე მოსწია თავისკენ, თითქოს ეშინია, არავინ წამართვასო,—ის ხომ თავის მეგობრებთან ერთად მოსკოვს მიემგზავრებოდა ამაღამ?

— ვინ მეგობრებთან?—ვკითხე და მივუახლოვდი.

— იგორი, სერგეი, მისი მეგობრები...

სერგეი, ეს ხომ სტასია? რახან ბორისი ხელში მყავდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ სტასი არსად გამექცეოდა, მაგრამ იგორი?! ხომ ამ ავაზაკთა ბრბოს ატამანი იყო? ეს კაცი იყო ის, რომელსაც რაისა გულქვა და დაუნდობელ ადამიანად იხსენიებდა. მინდიაშვილის ქალი ამ „ბარონის" შიშისაგან ძრწოდა მაშინაც კი, როცა ის ცხრა მთას იქით ეგულებოდა. კაცმა რომ მართალი თქვას, მე მასთან ასე ჩქარა შეხვედრას არ მოველოდი. ახლა გული ისე მიფართხალებდა, როგორც მონადირეს, რომელსაც მელას მაგივრად აფთარი შეეფეთა. წინა ოთახში ჭალი ჩავაქრე. ახლა მხოლოდ ერთი ნათურალა ბჟუტავდა.

— სწორედ იგორი და სერგეი არიან თქვენი ქმრის მტრები, მაგრამ ახლა ახსნა-განმარტების დრო არ არის,— თეჯირისაკენ გავწიე, წინა ოთახში ანაზდად შემოსულთ რომ არ დავენახე, ღია კარებს გავშორდი. — ერთი სიტყვით, სარწეველადან ბავშვი ამოიყვანეთ, თეჯირს უკან იატაკზე დაწექით,—მივუახლოვდი, მკლავზე ხელი სათუთად წავავლე,—ეშმაკს არ სძინავს, იქნებ წინააღმდეგობა გაგვიწიონ და დაზარალდეთ.

ოლღა პეტრეს ასულმა არ დააყოვნა, აკანკალებული ხელებით ბავშვი სარწეველადან ამოიყვანა და გულში მაგრად ჩაიკრა. ბალღმა წამოიტირა, მაგრამ დედამ ძუძუ მოიშველია და თეჯირს უკან გაუჩინარდა.

— სად არიან ისინი?—ვკითხე ჩურჩულით ზუბინას ქალს, როცა სარწეველადან ამოღებული ლეიბი გავუწოდე და ვანიშნე იატაკზე გაეშალა.

— სასურსათო მაღაზიაში წავიდნენ, ცოტა რამეს მოვიტანთ და გზას დავილოცავთო, მაგრამ რატომღაც აგვიანებენ,—მიპასუხა ჩურჩულითვე და ეზოდან ხმაური მოისმა. ვიღაცეები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ. მე წინა ოთახში სწრაფად გავედი და კარადას ამოვეფარე.

— რასაკვირველია, შეუძლებელი არაფერია,—გაისმა კარებთან მამაკაცის წვრილი ხმა და ვიგრძენი თუ როგორ შემოიჭრა თბილ ოთახში ცივი ჰაერი.

— არავინ გვეპატიჟება, მაშასადამე თაფლობის წელიწადი გრძელდება,— ამ მსუბუქმა იუმორმა ვერ გაათბო ყინულივით ცივი ხმა.

კარი დაიხურა.

პირველი სტასი იყო, თავისი წვრილი ხმით. მეორე, ალბათ იგორია, ცივი ხმითა და მომნუსხავი თვალებით-მეთქი, ვიფიქრე და ჩემს გამახვილებულ სმენას არ გამოპარვია, უკანა ოთახში, თეჯირს უკან თუ როგორ წამოდგნენ ჩემი ბიჭები. მათ შეძახილს, ხელები მაღლა, მეც, საფარიდან გამოსულმა, არ გაინძრეთ-მეთქი, დავძინე მშვიდად. სწრაფად შემობრუნებულ საამო აღნაგობის ვაჟკაცს „პარაბელუმი" შევაგებე. მეორეც შემობრუნდა. ერთ ხანს თვალდაუხამხამებლად შესცქეროდნენ ისინი ერთმანეთს. ხელის აწევაზე არც კი ფიქრობდნენ. არც წინააღმდეგობის გაწევა მოსდიოდათ აზრად. კარგად იცოდნენ რომ ხელის განძრევას ვერ მოასწრებდნენ. ისინი თვალებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს — მოვკვდეთ თუ ჩავბარდეთო. ბოლოს, იგორმა ცუდი სიზმრიდან გამორკვეულივით თავი გააქნია და გადაწყვიტა,—ეცოცხლა. სიცოცხლეში ყველაფერია მოსალოდნელი. იქნებ გადარჩეს. განა, ცოტა სათოკე გადარჩენია მართლმსაჯულებას?

—ხელები-მეთქი, რაღას უდგეხართ!— შეუძახა ორჯონიკიძელმა, დამბაჩა უფრო მაღლა ასწია და იგორს შუბლში დაუმიზნა.

ზანტად, მაგრამ ორთავემ ხელები ასწიეს. ვლადიმერმა იგორს ჯიბიდან «ბრაუნინგი» ამოართვა, სტასს „ნაგანი" ედო ჯიბეში. ზინაიდა ნიკოლოზის ასულის კეფაზე ნატყვიარი სწორედ „ნაგანის" სისტემის რევოლვერის ყალიბისა იყო. მკვლელის სიმაღლეც, სტასის სიმაღლეს ემთხვევა. ერთი სიტყვით, ამ შემაძრწუნებელი დანაშაულის უშუალო შემსრულებელი სტასი უნდა იყოს,— მეჩურჩულებოდა ბანდიტის შეპყრობით კმაყოფილი გული.

* * *

სულ მალე სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებიდან „კადელაკი" მოგრიალდა. ტამანოვი და სტასი საპატიმროში წაიყვანეს. ჩვენ ზუბინას ბინის გაჩხრეკას შევუდექით.

დიასახლისმა ბავშვი ისევ სარწეველაში ჩააწვინა და ფერმიხდილმა ტახტზე მოიკეცა. მისი ჭკვიანური თვალები მეტყველებდნენ, რომ მან კარგად იცოდა, მეუღლე მისი გასაჭირს კი არ გადაურჩა, არამედ თავი მარყუჟში გაჰყო. და ისიც სისხლითა და ხორცით იმათი იყო, ახლახან დახურული „კადელაკით" საპატიმროს გზას რომ გაუყენეს.

მე რაისასი მჯეროდა და მეცოდებოდა ეს კეთილი, მაგრამ წინდაუხედავი, შეუწყნარებლად მიმნდობი ადამიანი.

— თქვენ გინდათ დამიმალოთ, რომ ბორისი...

თავს ძალა დავატანე. სიტყვის დაბოლოების საშუალება არ მივეცი. სათქმელი უნდა ითქვას-მეთქი, ვიფიქრე.

— რომ ბორისი ბოროტმოქმედია, არა?—ვკითხე და ჩაყინული თვალებით მოშტერებულ ქალს მივუახლოვდი,— რას იზამთ, დაო ჩემო, კარგია რომ დროზე მოითოკნენ. თორემ, ვინ იცის, იქნებ არც თქვენ დაგდგომოდათ კარგი დღე.

— ნუთუ ბორისი! მაგრამ ალბათ ასეა, თორემ...—ხელი აკანკალებული ნიკაპისაკენ წაიღო, მოისრისა. გამშრალი ტუჩები მოილოკა, ხშირმა სუნთქვამ სავსე გულ-მკერდი უჩვეულოდ აუმოძრავა. ბავშვს ისე გახედა, თითქოს ეს პაწაწინა არსებაც მისი უბედურების მონაწილე ყოფილიყო და მწარედ ამოიოხრა.

— ნუ მიწყენთ და, თქვენი ასეთი აფორიაქების მიზეზი ისევ თქვენა ხართ, —ვუთხარი და ამხანაგებს გადავხედე.

შევატყვე რომ ამ ქალის პატიოსნებაში ეჭვი არც მათ ეპარებოდათ.

— რომ თვალებს მივენდე და ავჩქარდი არა?—ჩავარდნილი ხმით მიპასუხა და წამოდგა.

— დიახ, თვალი მაცდურია.

— ახლა, რჩევა-დარიგებას რა ჭკუა აქვს,—ჩაილაპარაკა და აცრემლებული თვალები მომარიდა,—სად იყავით მანამდი, სანამ არ დავიღუპე?—მწყრალად გადმომხედა. წინა ოთახში გავიდა. ერთ ხანს იდგა გაოგნებული, მერე შემობრუნდა და ზღურბლზე შემდგარმა ნაღვლიანი თვალი შეგვავლო. კიდევ რაღა გინდათ, ახლა მაინც მომასვენეთო გვეუბნებოდა უსიტყვოდ.

— ბინა უნდა გავჩხრიკოთ, მოწმედ მეზობელი უნდა ვიხმოთ,—ვუთხარი და რატომღაც დამნაშავესავით თავი დავხარე.

ის არ განძრეულა. გაქვავებულივით იდგა დიდხანს. მერე არეული ნაბიჯით უკანა ოთახისაკენ შებრუნდა. ვაი სირცხვილოო, ჩაილაპარაკა და ტახტზე მოწყვეტით დაეშვა.

თავზე დავადექი. ახლა ის შიშჩამდგარი თვალებით მიყურებდა.

— იქნებ მეზობლებს არ გავაგებინოთ... თავი მომეჭრება, ამ ქალაქში არ მედგომება,—ოდნავ გასაგონი ხმით შემევედრა და ქურთუკის ტოტზე ხელი ჩამჭიდა.

— შეუძლებელია,—ვუპასუხე და თვალი ავარიდე.

ქალმა ძალ-ღონე მოიკრიფა, წამოდგა, გოროზად შემომხედა.

— თუ ასეა, ჩემს დეიდაშვილს მოვიყვან, ამ ქუჩაზე ცხოვრობს, მეთორმეტე ნომერში, — საკიდარს მიაშურა, თავშალს სწვდა. ხმა არ გამიცია, ორჯონიკიძელ ამხანაგს ვანიშნე გაყოლოდა.

მალე ოლღა პეტრეს ასული, თავისი ხნისა და იერის ქალს შემოუძღვა ოთახში.

ჩხრეკას შევუდექით.

საეჭვო არაფერი გვინახავს, სანამ თეჯირს უკან პირამდი სავსე მოზრდილ ტყავის ზურგჩანთას არ წავაწყდი. მემძიმა. წინა ოთახში გამოვიტანე—მაგიდაზე დავდევი. ვლადიმერმა საგულდაგულოდ შეკრული თასმა გახსნა. ჩანთაში ჩავიხედე, რატომღაც სამგზავრო წვრილმანებად მეჩვენა ეს მცირე ბარგი, ცხვირსახოცების დასტა, წინდები, პირსახოცი, საცვლები და კიდევ რაღაც მძიმედ მომხვდა ხელში, რევოლვერი... ვაზნები, ისედაც გაფითრებულ დიასახლისს მკვდრის ფერი დასდებოდა.

— ვისია ეს ზურგჩანთა?

— იგორის, იგორ ტამანოვის,—მიპასუხა გაუბედავად და თავის დეიდაშვილს მონუსხულივით გადახედა.

რაისა მომაგონდა, იგორის სახელის ხსენებაზე რომ აჭრიალებდა იმ საცოდავს.

ვაზნების შემდეგ, შავ ხავერდის ნაჭერში შეფუთულ ბიბლიას წავაწყდი. წიგნი გავშალე, იგი ბევრჯერ იყო გადანაფურცლი. რევოლვერი, ვაზნები და მერე ბიბლია. მეუცხოვა. უნებლიეთ გამეცინა.—რად სჭიროდა ავაზაკს ბიბლია-მეთქი ჩავილაპარაკე და ჩანთაში ჩავყავი ხელი.—ცოდვილმა უნდა ილოცოს, შეთხოვოს უფალს პატიება, თორემ წმინდა კაცს ლოცვა რად უნდა,— მიპასუხა ვლადიმერმა და გაიცინა.

ისევ რაღაც სათუთად შეხვეული, მაგრამ უფრო მოკლე და სქელი, ვიდრე ბიბლია. ისევ ხავერდი, მაგრამ ამჯერად შინდისფერი. ხავერდის შიგნით, ზარდახში, ყორნის ბოლოსავით შავი და კრიალა. ყუთის სახურავის კიდეები ოქროსფრად იყო მოოჭვილი. შუაგულზე მადლიანი რეპინის ნახელავი: ელდანაცემ ივანე მრისხანეს მომაკვდავი შვილის სისხლიანი თავი გულზე მიეკრა.

ერთ ხანს ჩვენი მზერა ამ შესანიშნავ ნახატზე შეჩერდა, მერე ყუთს სახურავი ავხადე.

ზარდახშიდან ფანტასტიკურმა სინათლემ ამოჭონა. მრავალფეროვნად მოციმციმე შუქი ჭერს ცისარტყელასავით შეესხივა, ყუთს ხელი ისე გავუშვი, თითქოს ცხელ რკინას მოვერიდეო,—ღმერთო ჩემო, რა უნდა იყოს ისეთი საოცრება?! ჩაილაპარაკა დიასახლისმა და ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

პასუხი არ გამიცია, ისევ ყუთს მივუბრუნდი. კოლოფში ხელი ჩავყავი. თითები ფერების ბრწყინვალე თამაშში და ზღაპრულ შუქთა კაშკაშში ჩაეფლო. რაღაც დაწახნაგებულს წავაწყდი. ამოღება ვცადე, მაგრამ ვერა, ის ზარდახშის ფსკერზე მაგრად იყო ჩამჯდარი.

— ძვირფასი ქვა!—წამოიძახა ვლადიმერმა.

— დაწახნაგებული ალმასი... ბრილიანტი...—ჩავილაპარაკე და ძვირფას ქვას ხელი გავუშვი. ყუთიდან მოსქო ეტრატი ამომყვა. სულ რაღაც ხუთი თუ ექვს გვერდიანი კუპრივით შავი ეტრატი გადავშალე. წვრილად, მაგრამ ლამაზად ჩამოქნილი ასოები ოქროსფრად ისე ციმციმებდნენ, თითქოს უმთვარო ღამეში ცაზე ვარსკვლავები ჰკიაფდნენ.

— რა სწერია მეტავ?—ისე ჩამჩურჩულა ორჯონიკიძელმა, თითქოს მყუდროების დარღვევის ეშინიაო.

— ალბათ, ამ ძვირფას ქვაზე მეტყველებს—ვუპასუხე და ყუთი წინა ოთახში გავიტანე, ჭალი აანთე-მეთქი, ვთხოვე დიასახლისს.

ჩხრეკა მოთავდა, გარდა ზარდახშისა, ღირსშესანიშნავი ვერაფერი ვიპოვეთ. მაგიდას მივუჯექი, დასხედით-მეთქი ვუთხარი სხვებსაც და რვეული გავშალე.

„რა არ მინახავს, რა არ განმიცდია ამ სამ საუკუნეში,—ასე იწყებდა ვილაცა ამ ძვირფასი ქვის თავგადასავალს ლამაზად გამოყვანილი ასოებით,—მაგრამ ასე მგონია, თითქოს გუშინ დავიბადე, თითქოს არაფერი მენახოს. კიდევ დიდხანს მინდა ვიყო და ვხედავდე, თუ რა დანაშაულს ჩადიან ადამიანები ჩემი გულისთვის. მე არც „კულინანია" ვარ, ცხრა მილიონ გირვანქა სტერლინგს რომ ფასობს, არც „დიდი მონგოლი" და არც „სამხრეთის ვარსკვლავი". სიდიდით, „ეგვიპტის ფაშაზედაც" ორი კარატით ნაკლები ვარ, მაგრამ ღირსებით, საუკეთესოთა შორის საუკეთესოს მეძახიან. მე უფერული ვარ, თვალის მომჭრელი ბრწყინვალებით და ფერების დიდებული თამაშით უბადლო. „განთიადის დედოფალს" მეძახიან. ვინ შემარქვა ეს სახელი? ერთმა მშიერმა, გაძვალტყავებულმა შავკანიანმა მონამ განთიადისას მიპოვა. მონის მფლობელმა ეს სახელი შემარქვა, ხოლო ჩემს მპოვნელს სამი კოკოსი უბოძა.

მე სამხრეთ აფრიკაში დავიბადე.

ჩემი წინაპრები ევროპაში მეცამეტე საუკუნეში გამოჩნდნენ. მე კი, ამ ცივილიზებულ კუთხეში სამასი წლის მოგვიანებით შემოვდგი ფეხი.

ესპანელმა მბრძანებელმა, მის კრიალოსანზე რომ მეციალა, ჩემს მესაკუთრეს მონებით დატვირთული ორი ხომალდი დაუთავა ათ ქისა ოქროზე.

ვინ მოთვლის, რამდენ სახელმოხვეჭილ სარდლის დაშნის გადაზე ვენთე ქელაპტარივით.

(გაგრძელება იქნება)



898
25020



ოთარ დემეტრაშვილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ოთარ თურძიასი



ეს ერთი ძნელი გადასასვლელიც და მგზავრობით მოღლილი ნორჩი ტურისტები ანკარა წყაროს წყლით გაიგრილებენ გულს.

ჭრელ-ჭრელი ფერებით ხელდამშვენებული შემობრძანდა ვარდობის თვე. მაჩიტა და გვირილა, ცისთვალა და ღიღილო მოჯარდა მინდვრად. მუხლამდე მოყრილი ყანის პირზე კოკონები გააჩინეს ყაყაჩოებმა.

ტყით დაბურულ ხეობებში მხიარულად ალიკლიკდნენ თავანკარა წყაროები, პიტალო მთებიდან გადმომსკდარი ჩანჩქერები კი ალმასებად იმსხვრევიან ხავსმოდებულ ლოდებზე.

მოლივლივე ზღვის სანაპიროს ფეხდაფეხ მისდევენ მოშრიალე პალმები და მიმოზები, აქეთ კიდევ გულხატულა ყვავილებით მოჩითული კორტოხები ენაცვლება ერთმანეთს.

ლალი და ქარვა, სადაფი და იაგუნდი დაღვრილა ირგვლივ, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი მხარე ხელგაშლილი გვიხმობს დასვენებისა და ტურისტული ლაშქრობისათვის...

უკანასკნელი ზარის დაწკრიალების შემდეგ ქოჩორა ტყეებით დაბურულ მთებსა და ხავერდოვან ველებს მოეფინენ ბავშვები. ზეცამდე შემაღლებულ ჯიხვთა სანავარდოს და ქორბუდა ირმების სალაღობელს მისწვდა მათი ხალისიანი ჟივილ-ხივილი.

ცისმარე დილით, როგორც კი მეწამული ალიონი დაენთება ცაზე, ხეობიდან ხეობას გასძახის პიონერული საყვირის ომახიანი ექო.

დილის ვარჯიშს ყუათიანი საუზმე მოსდევს, მერე კი... მერე კი ატეხილ წიწვნარში წკრიალა ხმით ნათქვამი „გაფრინდი შავო მერცხალო“ და ახლად წაკითხულ წიგნზე გატაცებით მსჯელობა, მინდორში ბურთის ნავარდი და რძისფრად აჩქერებულ მდინარეებში დაწინწკლუ-

# მზარეულის მოგონება

არ. ხუნდაძე

ერთ დღეს ვაკის საბავშვო სახლის სამზარეულოდან ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა. მოხუცი მზარეული ვანო დოკვაძე კედელზე მიყრდნობილი ორი ადამიანის გამოდავებას უსმენდა.

— ეჰ, განსვენებული ილია, — ჩაილაპარაკა თავისთვის ვანო დოკვაძემ, — შემოდგომით თხის ხორცის მოტანას გვავალებდა და თან გვეტყოდა: თხის ხორცს თავისი დრო აქვს, შემოდგომით მას არაფერი არ სჯობიაო. აქ კი ჩვენი ექიმი საყვედურობს, თხის ხორცი რათ მოგიტანიათო.

— რომელ ილიაზე ლაპარაკობთ?!

გაკვირვებული შევეკითხე მზარეულს, — ილია ჭავჭავაძეზე?

— სწორედ ილია ჭავჭავაძეზე. მასთან ვიმუშავე, შემდეგ სხვაგანაც მიმუშავია, მაგრამ ისეთი კმაყოფილება და ბედნიერება არსად არ მიგრძვნია, როგორც იმ ცხონებულის ოჯახში ვიგრძენი. უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ კარგად ვიცი, რას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნისათვის ილია ჭავჭავაძე. მართალია, ილიას, როგორც ადამიანს, დაბალი ხალხის შემბრალეს, ტოლი არ ჰყავდა, მაგრამ განსვენებულის ცოლი, ოლღა განსაკუთრებით ღვთისნიერი ადამიანი იყო. ოლღა სულ იმაზე ფიქრობდა, თუ ვისთვის რა ესიამოვნებოდა და პატივი ეცა. ერთხელ საჩოხე შალი მიყიდა, მომიტანა და მითხრა, კარგად შეიკერეო. თან ღიმილით დაუმატა, ქალალდის თამაშს თავი დაანებე, თორემ საჩოხეს უკან წავიღებო. ამ შენიშვნის გამო, მე უგუნურმა, მეორე დღეს საჩოხე უკანვე გავუგზავნე და შევუთვალე: თუ წამართმევ, არ მინდა-მეთქი. არ გასულა რამდენიმე წუთი, ქალბატონი სიცილით მოეშურება ჩემკენ, თან ის საჩოხე მოაქვს, აივნიდან კი გაღიმებული ილია მეხუმრება:

— მაგრად დადექი შენს სიტყვაზე, ვანო, მაგრად!

— ბიჭო, — კვლავ თავისას მეუბნება ოლღა, — ღარიბი ახალგაზრდა კაცი ხარ და ქალალდის თამაში შენი საქმე არ არის, თავი უნდა დაანებო, ყაირათობაზე და დაზოგვაზე იფიქრე, თამაშით გამდიდრებული კაცი აბა ვის უნახავსო.

საჩოხე დარცხვენით ჩამოვართვი, შევიკერე და ბზობა დღეს პირველად ჩავიცვი.

— მშვენიერი გამოსულა, — მითხრა ოლღამ, — მშვიდობაში, კარგად ყოფნაში და ქალალდის თამაშისათვის თავის დანებებაში, — კვლავ დაუმატა.

იმ დღიდან მართლაც სავსებით ავიღე ხელი ქალალდის თამაშზე, აბა, რა ხინდისი მომცემდა ნებას, რომ იმ ადამიანისათვის არ დამეჯერებინა?

ერთხელ ილია და მე ცხენებით მივდიოდით. არაგვი ცოტა ადიდებულიყო და ილიამ მითხრა, ჯერ მე გავალ, შემდეგ ამ ჩემს ცხენს შენთან გამოვდენი და ამით გამოდი, ხომ იცი ჩემი ცხენი ძალიან ჭკვიანიაო.

ილია უვნებლად გავიდა, შემდეგ ცხენს ალვირი უნაგირზე გადაუგდო და ხელის აქნევით მეორე ნაპირას გამოდენა. შევჯექი თუ არა ილიას ცხენზე, ჩამოვკარი ლაგამი და ქუსლებიც ვუთავაზე. ცხენმა თავი ასწია, მდინარის ნაპირს ზემოთ გაჰყვა და ილიასკენ ვერაფრით ვერ მივაბრუნე. მაშინ გულმოსულმა კიდევ და კიდევ ვუთავაზე ქუსლები. ილიას ეღიმებოდა და მიყვიროდა, ნებაზე მიუშვი ფონს მოძებნის და გამოვაო.

ილიას ძალიან უყვარდა, როცა გლეხები მის დღეობაზე ჭიდაობას გამართავდნენ. საგურამოში იყო ერთი განთქმული მოჭიდავე, რომელსაც ქირიას ეძახდნენ. ქირიას შეზარხოშებული ილიაც დასჭიდებია, მაგრამ ფალავანი როგორ კადრებდა ბატონს წაქცევას და თვითონ წაიქცა. ამის გამო ილიამ გადაიხარხარა:

— შელავათი გამიკეთა, შემიბრალა ქირიამ.

ერთხელ ილიას დიდი ხნის დაგროვილი ანგარიშები წარვუდგინე, სადაც ეწერა: „ზელენი“, „გავიადინა“ და სხვა ასეთები. ილიამ წარბი შეჰკრა, ეს რა დაგიწერია, კარგად გადაწერეო, მითხრა. მეც ვუთხარი მეტი წერა არ ვიცი-მეთქი. ილიამ უკმაყოფილო სახით გადმომხედა და თანაც დასძინა:

— რუსული, ჩემო ვანო, შენზე უკეთესად ვიცი, მაგრამ სადაც საჭიროა, იქ ქართულად ვწერ. რას ნიშნავს გავიადინა, ზელენი და სხვა?

საგურამოში ილიას თბილისიდან სტუმრები ეწვია. ილიამ გადმოიხედა აივნიდან და მხიარული ხმით დამიძახა:

— ვანო, სადილად ღომი უნდა გამიკეთო, დღეს ღომისჭამიებიც არიან ჩემი სტუმრები.



ლი კალმახის ჭერა, მათარა და ზურგჩანთა, გზა სიარულში მოლეული და თვალშეუდგამ მწვერვალზე აზიდული ციხის ნანგრევთან მოღლილი მუხლის ჩადრეკა...

მზის ჩასვლის შემდეგ კოცონი და გულითადი სიმღერა, ისევ ცეკვა და გახურებული ტაშ-ფანდური... უღრუბლო ცაზე კი კეთილი ღიმილით გაბრწყინებული პირსავსე მთვარე...

ზაფხულის ბორიო თანდათან მძლავრობს და მოღაღანე მუქ მწვანეში უფრო და უფრო ილანდება რუხი ფერი. უცისნამო თელიანს აბეზარი მოლაღურის მოძახილი აზმიანებს, ღელე-ღელე ჩარიგებულ ძეძვიანში კი მოუღლელად რუკრუკებენ გულდაბუა დურაჯები...

შავი ზღვის პირას გრილი ზღვაური მძიმე-მძიმედ არწევს ტანაშოლტილ პალმების უზარმაზარ მარაოს. შებინდების მოლოდინში უჩვეულო გარინდება ეუფლება გარემოს. მერე კი უცბად ტალღასავით მოვარდება მზით გარუჯული ბავშვების მხიარული ყიჟინის ხმა და ფრთაფარფატა თოლიები შეშფოთებით ეცლებიან სანაპიროს.

ხტუნვა-ხტუნვით მოჭყუმპალავე გოგო-ბიჭები არაფრად აგდებენ აღმზრდელების ღიმილნარევ შენიშვნებს, არაფრად აგდებენ და გულღია კისკასით ისევ თავდაყირას გადადიან მაცოცხლებელ წყალში.

შორს, თვალსაწიერზე ლურჯად ილანდება ერთმანეთის მხარდამხარ ზვიადად ჩამომდგარი მთები. მთებს იქით ისევ მთები და მოშარიშურე ტყეებით დამშვენებული კორდები და ხეობებია.

ბუნების ამ წიაღშიც ხალისიანად ისვენებენ ჩვენი ბავშვები. ვიდრე ზარი დაიწკრიალებს, ნებისყოფასა და სხეულს იკაჟებენ, რათა ახალი ძალ-ღონით მიაშურონ სკოლებს...

აგვისტოს პაპანაქება იდგა, როცა პიონერმოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის ერთერთ კერას — რკინიგზის მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ზემო წყნეთის პიონერთა ბანაკს ვესტუმრეთ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭებო, სამუშაოზე წავიდეთ! — გაისმა ბანაკის ეზოში პიონერების წკრიალა ხმა.

— ცოტა დაგაგვიანდათ, — ღიმილით მოგვაგება სიტყვა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ადელ ჩიხლაძემ, — დილით ბანაკის შეკრება გვქონდა, რომელსაც ცნობილი კინომსახიობი ლეილა აბაშიძეც დაესწრო.

წუთით შეჩერდა იგი, ხევანს იქით დაკარგული გზისაკენ გააპარა თვალი და კეთილი ღიმილით დასძინა, — აქეთ წამობრძანდით, ჩვენი ბანაკის „სახელოვანი აგიტატორი" უნდა გაგაცნოთ.

უზარმაზარი თელის ქვეშ შემოკრებილ ბავშვებში ლეილა აბაშიძის

მეც ქვევიდან ვუპასუხე:

— მზარეული ვარ და დომს როგორ ვერ გავაკეთებ-მეთქი.

— მერე რა, მეც პოეტი ვარ, მაგრამ შოთასთანა ვეფხისტყაოსანს კი ვერ დავწერო, მომიჭრა ილიამ.

შუაღამე იქნებოდა, ჩვენ ყველას გვეძინა. მოსამსახურეები ილიას სახლის ქვედა სართულში ვცხოვრობდით. უეცრად რაღაც ხმაური შემოგვესმა. სწრაფად წამოვცვივდით და სარდაფისაკენ გავქანდით. ზოგს თოფი გვეკავა ხელში, ზოგს ნაჯახი, ერთს წალდიც კი წამოეღო.

შევხედეთ, სარდაფში სინათლე ანთია და შიგ ვიღაც კაცს მოუკარით თვალი. ჩვენ ერთხმად შევძახეთ „ქურდს":

— ხელები მაღლა, არ გაინძრე, თორემ გესვრით!

ჩვენთვის საეჭვო ადამიანმა უეცრად შემოგვხედა და რას ვხედავთ, ილია არ შეგვრჩა ხელში?!

ილიას წინსაფარი აეფარებია, ეტლი გამოეგორებია და ღებავდა. ახლა კი ვერ მოვითმინეთ და შევკადრეთ, თუ რატომ აკეთებდა ის ამ საქმეს და თანაც ვთხოვეთ თავი დაენებებინა ეტლის შეღებვისათვის.

ილია იღიმებოდა. ბოლოს კი ნაწყენის ხმით გვითხრა:

— რა მოხდა, ნუთუ შრომა სირცხვილია და არასაკადრისი? ცუდი წარმოდგენა გქონიათ შრომაზე. მე სრულიადაც არ ვგრძნობ თავს შეურაცხყოფილად. არ ვარგა, რომ ასე სათაკილო საქმედ თვლიან ჩვენში შრომას, აბა ნახეთ, როგორი იქნება ხვალ ჩემი ეტლი!

— ეჰ, რა კაცი იყო! — ამოოხვრით დასძინა მზარეულმა.

# თაფლობის დღე

შალვა მეჭეხელი

იუმორისტული მოთხრობა

ჩვენი შეუღლების მეორე დღეს ჩემმა ცოლმა გაახილა თუ არა თვალი, სახეზე ღიმილი ამითამაშდა. ვიფიქრე, ალერსით გადმომხედავს-მეთქი. იმ წუთს ჩემზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ მეგულებოდა. მაგრამ...

შევნიშნე, რომ რიამ (არ ვიცი საიდან შეარქვეს), ოთახში პირველად იმ კუთხეს დაუწყო ცქერა, სადაც დიდედაჩემისეული, დედაჩემის ნაქონი, ათასნაირად მოჩუქურთმებული კარადა იდგა. მერე თვალი იქით წაუვიდა, სადაც, იატაკის სიმრუდისა თუ ბუნებრივი სიმახინჯის გამო, კედელზე მიყუდებულიყო „ბუფეტი". ესეც ბებიაჩემის ხნისა.

თვალს ვადევნებდი ჩემი ცოლის ამ პატარა ექსკურსიას მომცრო ოთახში, რომლის მოსაპოვებლადაც ისეთი ომი დამჭირდა, რომ თუ არა სიკვდილი და დროის სიშორე, ბრმა ბრძენი ბერძენი ტროას ომს თავისი პოემის ღირსადაც კი არ გახდიდა.

— ჩემო სულიკო, — დავიწყე მე, ის კი აღარ ვიცოდი, შემდეგ რა მეთქვა.

— ჩემო სულიკო, ჩემო სულიკო, — გამომაჯავრა ნათქვამი, — აქამდე ვერ გამოცვალე ეს მატლების ბუდე?

მისი ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით გავიგე:

— ჩემო კარგო, ეს ავეჯი მასიური თელისაა და მატლი არ უჩნდება.

ეს გულუბრყვილო პასუხი დაცინვად მიიღო და ისე შემომიტია, თითქოს ჩხუბი საათნახევრის წინ დაგვეწყოს.

— მხეცო, მხეცო, არც კი გრცხვენია... ახლავე ასეთი უკმეხობა და სიტლანქე? მერე რას იზამ!

— გენაცვალე, მე არ მიფიქრია შენი გაბრაზება... მე მხოლოდ...

მივხვდი, რომ მის პირველსავე შემოტევაზე ასე უნდა მეპასუხნა: „კი, გენაცვალე, კი, ჩემო საუნჯევ, ამ ავეჯს ხვალ-ზეგ უთუოდ გამოვცვლი. ერთი ორ ათასს როგორმე მოვახერხებ... მერე მოსკოვი„ გაპრიალებული გერმანული ან უნგრული..." ეს აზრი თავშივე დამრჩა, რადგან იმ აზრმა, რომ ორი ათასის მშოვნელი არ ვიყავი, ჩემს ენას ვესტინმაუზის მუხრუჭები ამოსდო.

ენლა წამოვილუღლუღე:

— ხომ იცი, არ ვსვამ, პაპიროსს არ ვეწევი, ჩვენებს არ ვეხმარები... რაც მოვახერხე.,, აი, მაცივარი ვიყიდე, მეტი რა ვქნა?!





— დედაჩემს თორმეტ სურათში იღებენ! —
ეშმაკური ღიმილით ამბობს ბიჭუნა.

ბიჭუნა, მესამე კლასის მოსწავლე რამაზი ჩამდგარიყო და ხელების ქნევით გატაცებით ჰყვებოდა რაღაცას.

— დედაჩემი ახლა თორმეტ კინოში ერთად უნდა გადაიღონ! — წკრიალა ხმით ამბობდა რამაზი, თან ეშმაკურად გასცქეროდა ყურებდაცქვეტილ თანატოლებს...

ტყის სამეფოდან გრილი ნიავი უბერავდა და ბანაკის ეზოში ყელყელა ყვავილების საამო სურნელი იფრქვეოდა ირგვლივ.

— ჩვენმა ბავშვებმა მარტო გართობა-დასვენებაში როდი გაატარეს მთელი ზაფხული, — მშვიდი ხმით განაგრძობდა საუბარს უფროსი პიონერხელმძღვანელი, — ხეებქვეშ ჩარიგებული ეს პატარა მერხები და საჩრდილობლები პიონერ-მოსწავლეებმა თავიანთი ხელით გააკეთეს, ეს ლამაზ-ლამაზი ყვავილნარები და ფრენბურთის სათამაშო მოედანიც ბავშვების მოწყობილია...

პიონერთა ბანაკის მყუდრო კუთხეში წიგნის კითხვით გატაცებულ გოგონასა და ბიჭუნას შევასწარით თვალი. არა, გიული გედევანიშვილი და დათო ლომიძე საინტერესო მოთხრობის კითხვით როდი იყვნენ გართულნი:

მათ ახლად გამოსული სახელმძღვანელო აეღოთ ხელში და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდნენ ყოველ ფურცელს.

— ჩვენ თბილისის 114-ე სკოლიდან ვართ, — მკვირცხლად ჩაერია საუბარში ბუთხუზა დათო, მერე თბილისის შორეულ კონტურებს გაუსწორა თვალი და ოცნებაში წასული ხმით დასძინა: — მალე სწავლა დაიწყება, ჰოდა... ნეტა როგორ დაგვხვდება ჩვენი სკოლა?.

„ნეტა როგორ დაგვხვდება ჩვენი სკოლა?“ — თითქოს ჩათლად ჩაგვესმოდა ყურში ბიჭუნას სიტყვები, როცა ჩვენი მანქანა თბილისის ქუჩებში შესრიალდა და გეზი114-ე სკოლისკენ აიღო...

სკოლის დირექტორმა ილია შენგელიამ ვერა და ველარ მოლია სასიხარულო სათქმელი. ხან სანიმუშოდ მოვლილ ეზოს და სპორტულ მოედანს გვიჩვენებს, ხან კიდევ ახლად შერემონტებული სკოლის ნათელ დერეფნებში და ყვავილებით მორთულ საკლასო ოთახებში მიგვიძღვება.



გიული და დათო ახალ სახელმძღვანელოს ჩაჰკირკიტებენ.

— რა ქნა და უნდა გაინძრე! მაცივარი! ვის რად უნდა ახლა „სარატოვი“, ქვეყანა „ზილებით“ გაივსო.

— როგორ გავინძრე, რას ამბობ? ახლა თუ ვერა... მერე... მერე...

— მერე, მერე! — გამომაჯავრა რიამ, — მაგ მერეში სული ამომძვრა!

რია, როგორც ბოროტმოქმედს, ისე შემომყურებდა.

— როგორ ცხოვრობს ხალხი?! სახლსაც იშენებენ, აგარაკსაც, მაცივარიც ძვირფასი აქვთ და მანქანაც.

— გენაცვალე, ყველა პროფესორი და აკადემიკოსი ხომ არ იქნება, — საკმაოდ რბილად ჩავურთე, რადგან მეც კარგად მესმოდა, რომ ჩემი დანაპირები „მერე“ „მალეს“ სრულიადაც არ ნიშნავდა.

— თავს ნუ ისულელებ! — გამარჯვებულის კილოთი მითხრა მან, რაკი დაინახა, რომ საცოდავად გამოვიყურებოდი. მარცხენა ხელის თითები გაპარჯყა, მარჯვენის საჩვენებლით კი მათი მოკეცვა დაიწყო. ასე ჩამოთვალა ამხანაგები და მეზობლები, რომლებიც ფულის ხვეტის ხელოვნებას საოცრად სრულყოფით იყვნენ დაუფლებულნი.

ჩემმა რიამ შემდეგ წუწუნით შემახსენა, რომ სულ მალე მისი დაბადების დღე მოდის, აბა, რა უნდა ვაჩვენო ჩემს ამხანაგებსო...

პერანგისამარა ჩემი ცოლი ახლა უკვე სკამზე იყო მოკეცილი. საყვედურებით დიდხანს მავსებდა.

— ეჰ, — ამოიოხრა მან ღრმად და დარდიანად, — კაცი ერთხელ იბადება ამ ქვეყანაზე, ეს ოხერი, შვეციის ან დანიის მეფის ცოლი თუ არა, ვინმე შეძლებულის ცოლი მაინც არ უნდა იყო?! რა უბედური ვარ!

... ამ დღეს ჩემი სიდედრისას დავაპირეთ წასვლა.

— ტაქსით წავიდეთ! — ხმაში სიბრაზე შევატყე რიას.

მაგრამ მე უკან არ დამიხევია ამჯერად.

— ტროლეიბუსი პირდაპირ თქვენების სახლთან ჩერდება.

ჩემს ნათქვამს მღელვარების ახალი ქარტეხილი მოჰყვა. მოვინათლე მხეცად, ნადირად, ყველა იმად, ვინც არ იცის, რომ ცოლს სხვაგვარი, რაღაცნაირი, მეტად თბილი მოპყრობა უნდა.

როგორც იქნა, მივედით მისიანებთან. შინ ჩემი სიდედრი დაგვხვდა და გადაგვკოცნა. ერთ ხანს იკურკურეს დედა-შვილმა. მე კი ამ დროს ერთხელ კიდევ მიმოვიხედე აზიზილპიპილოებულ, მდიდრულად მოწყობილ ბინაში. ამდენი რამ რომ შევიძინო.., რას ამბობთ, მე სად შემიძლია!

რიას გულცივად ვუთხარი:

— წელან რატომ ჯავრობდი, რომ დღეობას ვერ გადაიხდი? ნახე, აქ ყველაფერი მშვენივრად არის მოწყობილი.

დედამისი ჩემს კილოზე მიხვდა, რომ პირველსავე თაფლობის დღეს ჩვენს შორის შავმა კატამ გაირბინა.

რიამ გაკვირვებით შემომხედა. ასევე თვალებით მიმზერდა ჩემი სიდედრიც.

უცებ რიამ იფეთქა:

— მე იმისათვის არ გავთხოვდი, რომ დღეობები ჩემი მშობლების სახლში გადავიხადო!

ის კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა. მე ქუდს დავავლე ხელი, დედამისს გამოვემშვიდობე და ცოლს წარბშეკრული მივუტრიალდი. ისიც წამოსასვლელად ემზადებოდა.

— მე მგონი... შენ აქ დარჩები! — ვუთხარი თავშეკავებით, საკმაოდ რბილად. — კარგად მოიფიქრე, ღირს თუ არა იმ ქმართან ყოფნა, რომელსაც ძველებური ავეჯი და მაცივარი „სარატოვი“ აქვს.

კარებში გამოსვლისას ცოლის ხმა წამომეწია:

— დოყლაპია, დოყლაპია!

## იცით თუ არა?

...სპორტულ შეჯიბრებათა სახეობებიდან ყველაზე მომქანცველია მარათონული რბენა (42 კილომეტრზე), რომლის დროსაც სპორტსმენი კარგავს 4 კილოგრამამდე წონას. მეორე ადგილზეა თხილამურებით რბენა 50 კილომეტრზე (2,5-3,5 კილოგრამამდე). შემდეგ მოდის ველორბოლა გრძელ დისტანციებზე და ნიჩბოსნობა (1,5-3 კილოგრამი). ფეხბურთი მხოლოდ მეხუთე ადგილზეა (0,9-3 კილოგრამი).

...ჯერჯერობით დანამდვილებით არ არის დადგენილი, თუ საიდან მომდინარეობს მთელ კულტურულ სამყაროში მიღებული ჩვეულება შეხვედრის დროს ხელის ჩამორთმევისა. სწავლულთა უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ ადამიანები იმ პირქუშ, წინაისტორიულ პერიოდში, როდესაც ჩვეულებრივად მარჯვენა ხელში იარაღი ეკავათ, ხელის წინ გამოწევითა და ჩამორთმევით გამოხატავდნენ თავიანთ მშვიდობიან განზრახვას შემხვედრისადმი.

...მსოფლიოს მცხოვრებთა დაახლოებით ნახევრის ძირითად საკვებ პროდუქტს ბრინჯი წარმოადგენს.



— კეთილი იყოს მშობლიურ სკოლებში ჩვენი სიცოცხლის ყვავილების მობრძანება!

— საცაა პირველი ზარი დაიწკრიალებს, ყველაფერი უკვე მზად არის სწავლის დაწყებისათვის!

წუთით შეჩერდა ილია, სიხარულით მოელვარე თვალები შემოგვანათა და ხელების გაშლით დაამთავრა სათქმელი:

— კეთილი იყოს მშობლიურ სკოლებში ჩვენი სიცოცხლის ყვავილების მობრძანება.

# ეკრანზე



მსოფლიოს ბევრი კინორეჟისორი ქმნის ფილმებს, სადაც ნაჩვენებია ომის საშინელება, ადამიანების ტრაგიკული ბედი და კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი კულტურის გაჩანაგება.

ასეთი ხასიათის ფილმებს მიეკუთვნება ცნობილი იტალიელი რეჟისორის დე სიკას უკანასკნელი ფილმი „ჩოჩარა“. ფილმს საფუძვლად უდევს ალბერტო მორავიას ამავე სახელწოდების მოთხრობა.

ამ ფილმში, რომელმაც უკვე მოიპოვა წარმატება, ყოველგვარი რიტორიკის, იაფფასიანი პროპაგანდისა და ყვირილის გამოუყენებლად ნაჩვენებია ომის საშინელებანი.

ვიტორიო დე სიკას სურდა შეექმნა ხალხური ფილმი, სადაც იქნებოდა სიმკაცრეც და იმედიც. უნდა ითქვას, რომ რეჟისორმა მიაღწია მიზანს.

ფილმის წარმატებაში დიდი როლი მიუძღვის მთავარი როლის შემსრულებელს სოფია ლორენს. მიმდინარე წელს სოფია ლორენმა ამ როლის განხორციელებისათვის მიიღო იტალიის კინოკრიტიკოსთა გაერთიანების სპეციალური ჯილდო — „1960 წლის საუკეთესო მსახიობი“.

ომის სიუჟეტზეა აგრეთვე აგებული უნგრელი რეჟისორის მიხეილ შემესის მომავალი ფილმი „ალბა რეგია“ და პოლონელი კინორეჟისორის იან რუბკოვსკის ფილმი „ამაღამ კვდება ერთი ქალაქი“.

პირველ ფილმში მთავარი როლის შემსრულებლად მიიწვიეს ცნობილი საბჭოთა მსახიობი ტატიანა სამოილოვა. მეორე ფილმის სცენარის ავტორია ცნობილი პოლონელი დრამატურგი კრუჩკოვსკი.

ფილმის რეჟისორმა იან რუბკოვსკიმ (იგი ჩვენში ცნობილია ფილმ „პან ანატოლის ქუდით“), და მხატვარმა სცადეს შეექმნათ ფილმისათვის მოდელი, სადაც მთლიანად იქნება აღდგენილი ძველი დრეზდენი. იან რუბკოვსკი თვითონ არის მოწმე დრეზდენის საშინელი ნგრევისა და შეიძლება ითქვას, რომ ფილმი ავტობიოგრაფიული ხასიათისა იქნება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოსტუდია „დეფა“ წელს გადაიღებს 28 მხატვრულ და 21 სატელევიზიო ფილმს.

მათ შორის მიმდინარე წელს ეკრანზედ გამოვა ფილმი „ხუთი დღე — ხუთი ღამე“. მას საბჭოთა კინომუშაკებთან ერთად იღებს რეჟისორი ლ. არნშტამი. ფილმში მოთხრობილი იქნება დრეზდენის გალერეის ნახატების გადარჩენა. კონრად ვოლფი, რომელიც ავტორია ცნობილი ფილმისა „ვარსკვლავები“ (ფილმი გადაღებულია ბულგარელ კინომუშაკებთან ერთად), იღებს ფილმს თავისი მამის ფრიდრიხ ვოლფის პიესის „პროფესორ მამლოკის“ მიხედვით.



საფრანგეთში მოდად იქცა ა. დიუმას „გრაფ მონტე კრისტოს“ ეკრანიზაცია. ამ რამდენიმე ხნის წინათ საბჭოთა მაყურებელმა ნახა ამ რომანის ახალი ვარიანტი, სადაც მთავარ როლს ასრულებს ჟან მარე. მაგრამ ფრანგები ამით როდი დაკმაყოფილდნენ. ცნობილი ფრანგი რეჟისორი ჟან ჟაკ ვიტალი იღებს „გრაფ მონტე კრისტოს“ ახალ ვარიანტს.

ახლა იწყებს დიდ ცხოვრებას რევოლუციური კუბის კინოხელოვნება. დაარსდა კინოინსტიტუტი, შენდება კინოქალაქი. გასული წლის 30 დეკემბერი სამახსოვრო დღეა კუბელთა კინოისტორიაში. ამ დღეს აჩვენეს პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი „რევოლუციის ამბები“, სადაც ასახულია კუბელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის.

მთელ მსოფლიოში პოპულარობით სარგებლობს ჩინეთის ფილმები. საკმარისია აქ მოვიყვანოთ მაგალითად ჩინური ფილმის „ხუთი ოქროს ყვავილის“ დიდი წარმატება ბირმის ეკრანზე. ერთ-ერთმა ბირმელმა ჟურნალისტმა სინხუას სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ჩინური ფილმები თავისი მაღალი ხელოვნებით და მდიდარი ცხოვრებისეული შინაარსით იპყრობს მაყურებელთა გულს. ეს მაშინ, როცა დასავლეთის ბევრი ფილმი წამლავს გონებას“.

ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ბირმის საცენზურო კომიტეტის დადგენილება, რომელიც კრძალავს განგსტერული ფილმების ჩვენებას ეკრანებზე.



თუ თვალს გადავავლებთ ფილმების ბედს მსოფლიო ეკრანებზე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ უდიდეს წარმატებას აღწევენ ის ფილმები, რომლებიც გადაღებულია პროგრესულად მოაზროვნე კინომუშაკთა მიერ.

**გურამ ფანჯიკიძე**



რომის იმპერატორი ოქტავიან ავგუსტესი.

## აგვისტო

წლის მერვე თვე 31 დღით. ძველ რომში ეს თვე 30-დღიანი იყო და თავისი რიგითი სახელწოდება ჰქონდა — სექსტილისი, ე. ი. მეექვსე. რომის სენატის გადაწყვეტილებით სექსტილის თვეს ეწოდა იმპერატორ ოქტავიან ავგუსტესის (63 წ. ჩვ. ერამდე — 14 წელი) სახელი, რომელმაც დიდი სამხედრო გამარჯვებები მოიპოვა, მისი სახელობის თვეში რომ ნაკლები დღეები არ ყოფილიყო, ვიდრე იულიუს კეისრის სახელობის თვეში, ავგუსტემ თებერვალს ერთი დღე დააკლო. მას შემდეგ თებერვალში 28 დღე დარჩა, აგვისტოში კი — 31.

გარეკანის პირველ გვერდზე:
ზღვაზე. ფოტო გ. რაზმაძისა
მეოთხე გვერდზე: პეიზაჟები
ფოტო ვ. ხმირნოვისა
და გ. რაზმაძისა

## საინტერესო თემაზე

მზის სხივებს ყოველ კვადრატულ მეტრ მიწის ზედაპირზე წამში დაახლოებით ორი ცხენის ძალის ენერგია მოაქვთ. მთლიანად დედამიწის ზედაპირი კი 160 მილიონ ცხენის ძალის ენერგიას იღებს. ეს ენერგია ასჯერ აღემატება მთელი დედამიწის ზურგზე მომუშავე მანქანების სიმძლავრეს.

და მაინც ჩვენს პლანეტამდე მოღწეული ენერგია შეადგენს მზის მიერ გამოსხივებული ენერგიის მხოლოდ ორი მილიარდ ორ მემილიონედ ნაწილს.

ასტრონომები და ფიზიკოსები ვარაუდობენ, რომ მზე, რომელიც ასე დიდი რაოდენობით ასხივებს ენერგიას, დაახლოებით წამში ოთხ მილიონ ტონა მზის ნივთიერებას უნდა ჰკარგავდეს. მაგრამ ჩვენ რატომ ვერ ვამჩნევთ, როგორ ილევა მზე? საქმე იმაშია, რომ მზის მასა უზარმაზარია. იმისათვის, რომ მზე მისი მასის ასეთი შემცირებით განახევრდეს, 7.500 მილიარდმა წელმა უნდა გაიაროს, რასაც ჩვენ კი არა, ჩვენი შორეულზე შორეული მომავალი თაობებიც ვერ შეამჩნევენ

### გასწორება

„დროშის" მეშვიდე ნომრის პირველი გვერდის პირველი აბზაცი (ქვემოდან მეოთხე სტრიქონი) უნდა იკითხებოდეს ასე:"... და მხარში ამოუდგა თანამედროვეობას უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლაში".

# დიდი ასპარეზობის წინ

მაყურებლები ელოდნენ, რომ საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა იქნებოდა დაძაბული და დრამატული მოვლენებით აღსავსე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ორთავე გუნდი იბრძვის ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისათვის. თურქეთის ნაკრებმა მოსკოვში ნორვეგიიდან ჩამოიტანა ორი ქულა, ხოლო საბჭოთა ნაკრებს თავისი პირველი შეხვედრა ჰქონდა.

110 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გუნდები ერთმანეთის წინაშე წარსდგნენ შემდეგი შემადგენლობით: თურქეთის ნაკრები — მეკარე თურგაი, მცველები ახმეტი, ისმაილი, შერეფი, ნახევარმცველები ოსმანი, მუსტაფა, თავდამსხმელები ტარიკი, გურჯანი, მეტინი, ჯანი და ლეფტერი. საბჭოთა კავშირის ნაკრები — მეკარე მასლაჩენკო, მცველები მედაკინი, მასლიონკინი, ჩოხელი, ნახევარმცველები, ვორონინი, მანოშინი, თავდამსხმელები მეტრეველი, ბატანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი და მესხი.

დაიწყო თამაში და პირველი წუთებიდანვე აშკარა გახდა თამაშის გეგმა, თურქები იბრძოდნენ საყაიმო ანგარიშისათვის. ნახევარმცველები თითქმის არ სცილდებოდნენ საკუთარ საჯარიმო მოედანს, ხოლო შუამარბები საკმაოდ უკან დახეულნი თამაშობდნენ.

თურქები მხოლოდ ეპიზოდურად აწყობდნენ იერიშებს მოწინააღმდეგის კარზე. ბურთის გამთამაშებლის როლში გამოდიოდა მარცხენა შუამარბი ჯანი, ხოლო სახიფათო ფორვარდი მეტინი ძირითადად ადგილებს ირჩევდა გასვლისა და დარტყმისათვის, მაგრამ ასეთი იერიშები ეწყობოდა ძალზე იშვიათად. ძირითადად კი ისინი ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი იერიშები. მას შემდეგაც კი, რაც ვორონინმა ბურთი გაიტანა თურქების კარში, ისინი არ ცდილობდნენ შეეცვალათ თამაშის გეგმა. ხოლო, როცა თამაში დამთავრდა, თურქებმა საკმაოდ მხიარულად დატოვეს მოედანი, მათი მწვრთნელი სანდრო პუპო კი კმაყოფილებას ვერ მალავდა. რისი იმედი აქვთ თურქებს?

ამას კარგად უნდა ჩაუფიქრდნენ ჩვენი მწვრთნელები. მიუხედავად იმისა, რომ გავიმარჯვეთ, მაყურებლებმა უკმაყოფილოდ დატოვეს ტრიბუნები. საბჭოთა ნაკრებმა ამ მატჩში ვერ გამოამჟღავნა თავისი საუკეთესო თვისებები. მართალია, გუნდის დაცვამ უნაკლოდ ითამაშა, მაგრამ ამაში „დაგვეხმარნენ" თვითონ თურქებიც, რომლებიც მაინცდამაინც ძალიან როდი აწუხებდნენ ჩვენს მცველებს. თავის შესაძლებლობებზე დაბლა ითამაშა მესხმა, რაშიც „წვლილი" მიუძღვის ბუბუკინსაც, რომლის უთავბოლო სირბილმა დეზორგანიზაცია შეიტანა თავდასხმაში. სუსტად ითამაშეს პონედელნიკმა, ბატანოვმა და მეტრეველმა.

არგენტინის ნაკრებთან საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი ოდნავ შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა, თავისი ადგილი დაიჭირა ივანოვმა, ხოლო მედაკინი შეცვალა დუბინსკიმ. თვით თამაშის მსვლელობისას მწვრთნელმა ივანოვი შეცვალა კანევსკით, პონედელნიკი გუსაროვით და მესხი — მეხტინით, თუმცა ამ ცვლილებებმა ვერაფერი შეცვალა მინდორზე.

არგენტინის ნაკრები ევროპაში ჩამოვიდა გარკვეული მიზნით.

— ჩვენ კარგად არ ვიცნობთ ევროპის ფეხბურთს, ჩვენი მიზანია გავეცნოთ, ევროპული გუნდების თამაშის სტილს და სერიოზულად მოვემზადოთ ჩილის მსოფლიო პირველობისათვის, — განაცხადეს მათ.

არგენტინელები მართლაც არ ცდილან მატჩის მოგებას. სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელებმა უჩვენეს შესანიშნავი ტექნიკური და ლამაზი ფეხბურთი. მაყურებელი მოხიბლა მათმა ტექნიკამ და ტაქტიკურმა აზროვნებამ მინდორზე. არგენტინელები შესანიშნავად იმორჩილებენ ბურთს, უნაკლოდ იღებენ მიწოდებულ ბურთს ურთულეს მდგომარეობაშიც კი, აქვთ ნამდვილად დიდოსტატური გადაცემები. იყო მომენტები, როცა არგენტინელები აკეთებდნენ 14-16 გადაცემას ისე, რომ ჩვენი მცველები ვერ ახერხებდნენ ბურთის წართმევას. შესანიშნავია არგენტინელთა დაცვა, რომელიც მრავალფეროვანი ხერხებით იგერიებს მოწინააღმდეგის იერიშებს. სამხრეთამერიკელები კარგად იბრძვიან პერსონალური დაცვის დროს, შესანიშნავად თამაშობენ დაზღვევაზე და უნაკლოდ ასრულებენ ფეხებში ჩავარდნას. მათ მიერ მოგერიებული ბურთი ყოველთვის სრულფასოვანი გადაცემაა, ხოლო მცველები ისე ფლობენ ცრუ მოძრაობას, როგორც თავდამსხმელები.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი დამთავრდა უშედეგოდ (0:0), მაყურებლები მაინც მოიხიბლნენ მრავალი შესანიშნავი კომბინაციით და დასამახსოვრებელი ეპიზოდებით.

საბჭოთა ფეხბურთელები კი, რომლებიც გამოირჩევიან მოწინააღმდეგის კარის დაუღალავი იერიშით, უჩვეულო მოწინააღმდეგის წინაშე დაბნეულად თამაშობდნენ. მათ ვერ გამოამჟღავნეს სიტუაციებში ისეთი სწრაფი გარკვევა, როგორც ამას აკეთებდნენ არგენტინელები. განსაკუთრებით სცოდავდნენ თავდამსხმელები, რომლებმაც ერთმანეთში ვერ გამონახეს საერთო ენა და უგეგმოდ მოქმედებდნენ.

ეს მატჩი ნაკლები გაკვეთილი როდი იყო ჩვენი ნაკრებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ ბევრი შეცდომა ამ თამაშებიდან გათვალისწინებული იყო მეორე შესარჩევ მატჩში ნორვეგიის ნაკრებთან, სადაც დამაჯერებელი გამარჯვება (5:2) მოიპოვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა.

იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა ნაკრები ჩილიში ღირსეულად დაიცავს საბჭოთა სპორტის სახელს.

რედაქტორი ალიო მირცხულავა
პ/მგ. მდივანი მ. ჯიბლაძე
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი გ. კეშელავა. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VII-61 წ. გამომც. № 131, ქაღ. ზომა 70×108[1]/[8]. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 18.000. შეკვ. № 1281, უე 02586
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.

თენგიზ გოგოლაძე

# დღეს ფეხბურთია!




ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული
ბიბლიოთეკა